ალია

N149/3079/ 9 ოქტომბერი 2014 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი — ქრონიკა
სამშაბათი — ალია
ოთხშაბათი — ალია
ხუთშაბათი — ალია
პარასკევი — ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

„სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ განცხადება

SOCAR

# ვინ ჩანერგა „ოდეერები“ „ოცნების“ ხელისუფლების სამსახურებში?





## სად შეხვდა გიგა ბოკერია ფარულად „ზონელებს“ და რა სტრატეგიაზე შეთანხმდნენ?

დემურ გიორხელიძე:

## „პარლამენტმა თავი და ერთი ადგილიც გაანძრიოს, ეყოთ თავის კეთილდღეობაზე ზრუნვა, დროა, სახელმწიფო საქმეებსაც მიხედონ“



# რას უყვება მიხეილ ხუბუტია „ალიას“ მოსკოვში ჩატარებულ „თბილისობასა“ და ატეხილ სკანდალზე



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## სოფელ მუღანლოში 14 წლის გოგო 21 წლის ბიჭმა გაიტაცა




დედოფლისწყაროში ეთნიკურად აზერბაიჯანელი 14 წლის გოგონა საკუთარმა დეიდაშვილმა ჯერ გაიტაცა, შემდეგ კი გააუპატიურა.

გავრცელებული ინფორმაციით, არასრულწლოვანი ნათესავმა ცოლად მოყვანის მიზნით წაიყვანა. როგორც გოგონას მამა ყვება, 6 შეიარაღებული მამაკაცი არასრულწლოვნის საძინებელში შეიჭრა და ძალის გამოყენებით გაიტაცა.

გატაცებულის კვალს პოლიციამ რამდენიმე დღის შემდეგ მიაგნო. პროკურატურის ინფორმაციით, არასრულწლოვანს ძალადობის კვალი აღენიშნება.

ამ დროისთვის დაკავებულია ორი ეჭვმიტანილი. დაზარალებულის ოჯახი დამნაშავეების უმკაცრესად დასჯას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლის აღებით იმუქრება.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. (ინტერპრესნიუსი)

## მიწისძვრის შედეგად ტყიბულის შახტაში რამდენიმე ადამიანი დაშავდა



მიწისქვეშა ბიძგების შედეგად, ტყიბულის მინდელის სახელობის შახტის მე-6 უბნის ერთი ადგილი ჩამოიშალა. არსებული ინფორმაციით, რამდენიმე მეშახტეს მსუბუქი დაზიანებები აქვს მიყენებული, მათ შორის ერთ-ერთ მეშახტეს ამირან თოფაძეს ფეხი აქვს მოტეხილი. (ნიუპოსტი)

## ბორჯომში დაკარგულ მამაკაცს მესამე დღეა, ეძებენ




ბორჯომში დაკარგულ მამაკაცს ეძებენ. ჩარხისწყალზე მცხოვრები 79 წლის დიმიტრი ელიაშვილი სახლიდან 6 ოქტომბერს გავიდა და მას შემდეგ აღარავის უნახავს.

ოჯახმა პოლიციასა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს მოხუცის დაკარგვის შესახებ მეორე დღესვე შეატყობინა. ოჯახის წევრების ინფორმაციით, დიმიტრი ელიაშვილს მეხსიერების პრობლემა არ ჰქონია.

როგორც დაკარგულის რძალმა აღნიშნა, ის მეზობლებმა ბოლოს რკინიგზის ლიანდაგთან ახლოს ნახეს. დაკარგულის ძებნაში ბორჯომის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს ახალციხის სამაშველო ბრიგადა და პოლიცია ეხმარება. (ფრონტნიუსი)

## ოპერის სცენაზე სეზონის გახსნის დროს ინციდენტი მოხდა




ოპერისა და ბალეტის თეატრის 163-ე სეზონის გახსნა საფრთხის წინაშე დადგა. თანამშრომელთა ნაწილმა დასს გალა კონცერტის ჩატარების საშუალება არ მისცა. პროტესტის მიზეზი საკადრო პოლიტიკა გახდა. გალა კონცერტი ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო.

თანამშრომლების ნაწილმა სცენაზე ასვლითა და ცოცხალი ჯაჭვით ის ფაქტი გააპროტესტა, რომ სეზონი „აბესალომ და ეთერით“ არ გაიხსნა. მათი თქმით, დაირღვა თეატრის ტრადიცია. ასევე, ისინი აპროტესტებდნენ თანამშრომელთა ნაწილის სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებას.

ინციდენტს სოლისტებისა და მაყურებლების მხრიდან პროტესტი მოჰყვა, რამაც ამბოხებული თანამშრომლები იძულებულები გახადა, სცენიდან ჩამოსულიყვნენ. (ფრონტნიუსი)

## ქმრის ნათესავების მიერ საჯაროდ ცემის შემდეგ 30 წლის ქალმა თავი ჩამოიხრჩო



კახეთში საზარელი შემთხვევა მოხდა: 30 წლის ხანუმ ჯეირანოვამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა მას შემდეგ, რაც ქმრის ნათესავებმა ღალატის ბრალდებით ჯერ საჯაროდ სცემეს, შემდეგ კი აწამეს.

30 წლის ქალი ოჯახის წევრებმა ჩამომხრჩვალი საკუთარ სახლში იპოვეს.

თვითმკვლელობის მიზეზად სოფელ ლამბალოს მაცხოვრებლები წინა დღეს განვითარებულ მოვლენებს ასახელებენ.

ადგილობრივების თქმით, საზარელი ისტორიის მიზეზი ეჭვიანობაა. სოფელში ამბობენ, რომ ხანუმ ჯეირანოვა ქმრის ნათესავებმა უცნობ მამაკაცთან ერთად დაინახეს და ღალატი დააბრალეს, ახალგაზრდა ქალი დაიჭირეს და ჯერ სოფლის „ბირჟაზე“ გაუსწორდნენ, შემდეგ კი მაღაზიის უკან გაიყვანეს და იქ ძალადობდნენ მასზე.

ლამბალოს მკვიდრები ასევე აცხადებენ, რომ გარდაცვლილის ქმრის ნათესავები იმ დღეს სოფელში არავის შეუჩერებია. რამდენიმესაათიანი ცემისა და წამების შემდეგ მათ ხანუმ ჯეირანოვა მამის სახლში მიიყვანეს.

გამგებელი მაჰმუდ ალიევი აცხადებს, რომ ქალის ცემის ფაქტი სოფელში არავის გაჰკვირვებია. სოფლის მაცხოვრებლებს არც პოლიციაში დაურეკავთ და არც სასწრაფო დახმარება გამოუძახებიათ.

მომხდარს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები იკვლევენ. გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით მიმდინარეობს. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## პატიმარმა ქუთაისის ციხეში პირი და თვალები ამოიკერა




სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პატიმრის რომეო პერტაიას პროტესტს გამოეხმაურა. პრესსამსახურის უფროსის თაია მახარაშვილის განცხადებით:

„დასტურდება, რომ შიმშილობს, თუმცა პრეტენზია მას არ აქვს სასჯელაღსრულების სისტემის მიმართ. რაც შეეხება ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზრუნვას, ჩვენ მაქსიმალურად ვასრულებთ იმას, რაც დადგენილია შიმშილობის მართვის სტანდარტით“, – განაცხადა მახარაშვილმა.

ცნობისთვის: ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პატიმარი რომეო პერტაია უკვე 46 დღეა შიმშილობს. პატიმრის ოჯახის წევრების განცხადებით, პატიმარმა 8 ოქტომბერს ხელ-ფეხი ფიცარზე დაიჭედა და პირი და თვალები ამოიკერა. (ფრონტნიუსი)

## შს სამინისტრო დაფინანსების გაზრდას ითხოვს




2015 წლის ბიუჯეტით დაფინანსების გაზრდას შინაგან საქმეთა სამინისტროც ითხოვს. მინისტრის მოადგილის დავით ხუციშვილის განცხადებით, დაახლოებით 40 მილიონია ის თანხა, რისი დამატებაც შსს-ს სჭირდება.

„წარმოდგენილ საბიუჯეტო პროექტში ხელფასების ნაწილში არის მცირედი ზრდა, რაც მესაზღვრეთა ხელფასების გაზრდით არის გამოწვეული, მაგრამ ჩვენ იმედი გაქვს, რომ ბიუჯეტის ეს ვარიანტი შეიცვლება და გარკვეული მატება იქნება. დაფინანსების გაზრდას სამინისტროს ბევრი დანაყოფი საჭიროებს. საჭიროება დიდია – იქნება ეს ინფრასტრუქტურული პროექტები, აღჭურვილობა, საშტატო რიცხოვნობა და ასე შემდეგ“, – განაცხადა ხუციშვილმა.

მინისტრის მოადგილე არსებული საბიუჯეტო პარამეტრების გათვალისწინებით, მომავალი წლისთვის შსს-ს თანამშრომელთა ხელფასების ზრდას არ ელის და როგორც ამასთან დაკავშირებით განამარტავს, „პოლიციის შემადგენლობა საკმაოდ მრავალრიცხოვანია, მუშაობს 30 ათასი კაცი და მათი ხელფასების მატება დიდ თანხებთან არის დაკავშირებული“.

2014 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის მოცულობა 600 მილიონი ლარია და იგივე ოდენობა რჩება 2015 წლისთვის. (ინტერპრესნიუსი)

## ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ფეხბურთელი ნიკა კილაძე დაიღუპა




დიღომში, ალმაშენებლის ხეივანზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ფეხბურთელი ნიკა კილაძე დაიღუპა.

ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც ლანჩხუთის „გურიას“ ნახევარმცველი დიღომში მოტოციკლეტით გადაადგილდებოდა. მოტოციკლი სატვირთო ავტომობილს შეეჯახა. შეჯახება იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ფეხბურთელმა სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დაზიანებები მიიღო.

ავტოსაგზაო შემთხვევას კილაძის მეგობარიც ემსხვერპლა. (news.ge)

## პრეზიდენტმა 115 პატიმარი შეიწყალა




საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის თანახმადაც 115 მსჯავრდადებული შეიწყალა. შეწყალების კომისიის თავმჯდომარის, ზვიად ქორიძის განცხადებით, 115 მსჯავრდადებულიდან 88 დატოვებს საპატიმრო დაწესებულებებს, 27-ს შეუმცირდა სასჯელი, აქედან ზოგს გაუნახევრდა, ზოგს 1/3-ით შეუმცირდა. შეწყალებულთა შორის 7 არასრულწლოვანია, აქედან 4 არასრულწლოვანი სრულად განთავისუფლდა, სამს სასჯელი შეუმცირდა. განთავისუფლებულებს შორის არის ერთი ქალიც.

რაც შეეხება შეწყალებულთა კატეგორიას, ის სხვადასხვა ტიპის მსჯავრდადებულებს შეეხო, მათ შორის არის როგორც მძიმე, ასევე ნაკლებად მძიმე დანაშაულში ბრალდებულები. სრულად განთავისუფლებულებს შორის არიან პირები, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების ბრალდებით, ქურდობისთვის, ცივი იარაღის უკანონო ტარების მუხლით, სამსახურებრივი სიყალბით და ა.შ. სასჯელი შეუმცირდა განზრახ მკვლელობისთვის მსჯავრდადებულ ორ პირს.

სულ კომისიამ 699 განცხადება განიხილა. (ინტერპრესნიუსი)

## 2015 წელს ხელფასებზე 323 მილიონი ლარით მეტია გამოყოფილი



„ნაციონალური მოძრაობაში“ სახელმწიფო ბიუჯეტში ხელფასების, პრემიებისა და სახელფასო დანამატებისთვის გამოყოფილ თანხებს აპროტესტებენ და აცხადებენ, რომ 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში ამ მიმართულებით 323 მილიონი ლარით მეტია გამოყოფილი, ვიდრე ეს 2012 წელს, სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში იხარჯებოდა.

ზურაბ ჯაფარიძის თქმით:

„თუ შევადარებთ, რა უჯდება ივანიშვილის მთავრობა საქართველოს მოსახლეობას, ვნახავთ, რომ 2013 წელს მთავრობის შენახვა დაჯდა 138 მილიონი ლარით მეტი, ვიდრე 2012 წელს სააკაშვილის მთავრობა, 2014 წლის მხოლოდ 6 თვეში მთავრობა დაჯდა 130 მილიონი ლარით მეტი ვიდრე 2012 წლის ანალოგიურ პერიოდში, ხოლო 2015 წელს დაგეგმილია, რომ მთავრობის ხელფასებსა და პრემიებზე დაიხარჯოს 323 მილიონი ლარით მეტი, ვიდრე 2012 წელს დაიხარჯა. 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში კვლავ, ზედიზედ მეორე წელი, არ არის გათვალისწინებული პენსიების ზრდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩასწორებულ ბიუჯეტის ვარიანტში მოხდება პენსიების ზრდის გათვალისწინება, ეს შესაძლებელი იქნება, მოხდეს მხოლოდ სიმბოლური თანხით. პრაქტიკულად არ იზრდება თავდაცვის ბიუჯეტი და მცირდება არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა სუსტდება. ამ და სხვა მიზეზების გამო, „ენმ 2015 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილ ვარიანტს მხარს არ დაუჭერს“, – აცხადებს ჯაფარიძე. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge




# რატომ მიმართეს ადვოკატებმა პარლამენტს საქმეების ხანდაზმულობის ვადის გასაზრდელად?

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“, სამოქალაქო კანონმდებლობაში საქმის ხანდაზმულობის ვადის გაზრდის რეკომენდაციით, პარლამენტს მიმართავს. როგორც ორგანიზაციაში განმარტავენ, კანონში არსებული ხარვეზის გამოსწორების შედეგად, მოქალაქეებს 2004-2012 წლებში პოლიტიკური ხელისუფლების მხრიდან უკანონოდ ჩამორთმეული, მიტაცებული თუ იძულებით დათმობილი უძრავი ქონებების დაბრუნების მოთხოვნით სამართლებრივი დავის წარმოების შესაძლებლობა მიეცემათ.

**„ალიას“ „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი არჩილ კაიკაციშვილი ესაუბრა:**

– ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ხალხს გაუჩნდა იმედი, რომ ისინი სამართლიანი სასამართლოს უფლების გამოყენებას შეძლებდნენ. ამ პერიოდიდან ქონებაჩამორთმეულთა საქმეები წინა პლანზე წამოვიდა. ისეთების, რომლებსაც ქონება გაუსხვისეს, ჩამოართვეს, დაათმობინეს და ა.შ. საერთო სასამართლოებსა და პროკურატურაში უამრავი განცხადება შევიდა. მოქალაქეები საკუთარი ქონების დაბრუნებას ითხოვდნენ.

**— პროკურატურას რატომ მიმართავენ ასეთი საქმეებით?**

– საერთო სასამართლოები ასეთ სარჩელებთან დაკავშირებით მოქალაქეების საჩივრებს არ აკმაყოფილებს ერთი მარტივი მიზეზის გამო – ამ საქმეებთან დაკავშირებით, სასამართლოებს უკვე მიღებული აქვთ გადაწყვეტილებები 5 წლის ვადაში. ახლად აღმოჩენილი და ახლად გამოვლენილი გარემოებები, რომლებიც კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით შეიძლება გამოჩენილიყო 2012 წლის შემდგომ, სასამართლო მხედველობაში მიიღებდა მხოლოდ მაშინ, თუ ამ საქმეებთან დაკავშირებით ხანდაზმულობის ვადა არ იქნებოდა გასული. ეს ახალი გარემოებები კი, რომელთა გამოც მიმართავენ მოქალაქეები სასამართლოებს, 5 წლის შემდეგაა აღმოჩენილი. ქონებები ზოგს 2005 წელს ჩამოართვეს, ზოგს 2006 წელს... თუმცა, მათ დღეს მოიპოვეს ახალი მტკიცებულება, მაგრამ არსებული კანონის თანახმად, ამ ადამიანებს უფლება ერთმევათ, დავა გააგრძელონ სასამართლოებში. ხანდაზმულობის ვადა უნდა გაიზარდოს და გახდეს 10-წლიანი.

**— პროკურატურაში 2012 წლის შემდეგ შესული ათასობით საქმე დევს, ესენი არ არის ამ დრომდე გამოძიებული და 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადის 10 წლამდე გაზრდით რა შეიცვლება? რას გვაძლევს ვადის გაზრდა?**

– ერთია, როცა ვიღაცა არ იძიებს, მეორეა, როცა პროკურატურა არ თვლის, რომ პრიორიტეტულია ამ ეტაპზე ქონებაჩამორთმეულთა საქმეები. ქონების დაბრუნება მარტო სისხლის სამართლის რეგულაციის საკითხი არ არის. ამ საკითხზე ჯერ სამოქალაქო წესით უნდა იდავო და თუ გამოიკვეთება სისხლის სამართლის ნიშნები, ასეთ შემთხვევაში უნდა მიმართოს პროკურატურას. არასწორია ჩემი აზრით, პირდაპირ პროკურატურისთვის მიმართვა, როცა საქმეში არსებობს საკმარისი მტკიცებულებები და ის არ არის ამოწურული სამოქალაქო სასამართლოს დავის ფარგლებში. მაგრამ თუ ხანდაზმულობის ვადა არ იქნება გაზრდილი, ასეთი მტკიცებულებების არსებობა მნიშვნელობას კარგავს. ეს კი სახელმწიფოსა და პარლამენტის ბრალი იქნება, იმიტომ რომ საკანონმდებლო ხარვეზია. ამიტომაცაა აუცილებელი, რომ ეს საკანონმდებლო ხარვეზი აღმოიფხვრას, რომ ადამიანებს სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა ჰქონდეთ.

**— პარლამენტში რას ფიქრობენ თქვენს საკანონმდებლო რეკომენდაციაზე?**

– ჩვენმა ორგანიზაციამ პარლამენტს საკანონმდებლო ნორმის ახალი რედაქციის მომზადებასთან დაკავშირებით წინადადებით 2014 წლის ივნისში მიმართა. პარლამენტი რამდენიმე დღის წინ გამოგვეხმაურა, მას შემდეგ, რაც „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ აჭარაში, უკანონოდ ქონებაჩამორთმეულ როლანდ ბლადაძის საქმეზე, რომლის სახლშიც ამჟამად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი ცხოვრობს, კვლევა წარმოადგინეს. პარლამენტის წერილში ნათქვამია, რომ იურიდიულ საკითხთა კომიტეტი აქტიურად მუშაობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის დახვეწის მიზნით, რაც უახლოეს მომავალში, საკანონმდებლო ინიციატივაში აისახება.

დიანა ლიპარტელიანი

571 80 40 80

# „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ განცხადება

SOCAR

კომპანია „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ ეხმაურება რა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მიმდინარე წლის 4 ოქტომბრის გადაცემა „ბიზნეს კურიერში“ გაშვებულ სიუჟეტს, ბუნებრივი გაზით გასამართ სადგურებზე ავტომობილების გაზით გამართვისას თითქოსდა დაშვებული უზუსტობის შესახებ, წინადადებით მიმართავს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის „ბიზნეს კურიერის“ რედაქციას – მოიწვიოს ოფიციალური ექსპერტიზა, რომელიც „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ ნებისმიერ გაზგასამართ სადგურზე ჩაატარებს შესაბამის შემოწმებას ბუნებრივი აირის ჩაჭირხვნის სიზუსტის დასადგენად. მხოლოდ ასეთი სახის ქმედებით არის შესაძლებელი, სამართლიანად განისაზღვროს რეალური ვითარება, კომპანიის მხრიდან ბუნებრივი აირის ჩაჭირხვნის რაოდენობრივ სიზუსტესთან მიმართებაში და არა ცალკეული მომხმარებლების ეჭვებზე დაყრდნობით.

„სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ გაზით გასამართ სადგურებზე ფუნქციონირებს არგენტინული კომპანია „გალილეოს“ მარკის საკომპრესორო დანადგარები. კომპანია „გალილეო“ წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან კომპანიას კომპრესორების წარმოების მხრივ, ის წარმოდგენილია მსოფლიოს 70 ქვეყანაში და ითვლება როგორც ყველაზე სწრაფი გაზგასამართი სისტემა და სწორედ აქედან გამომდინარე, გალილეოს ოფიციალური წარმომადგენლის განმარტებით ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს გასამართი სვეტის ტაბლოზე ციფრის კორექტირება, გამომდინარე გაზის ავტომობილში ჩატვირთვის სისწრაფის გამო, დროის ეკონომიის, მაქსიმალური სიზუსტით და ცდომილების გარეშე. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ კომპანია „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ გასამართ სადგურებზე გამორიცხულია ავტომობილების გაზით გამართვის დროს დაკლება ან მომხმარებლის რაიმე ფორმით მოტყუება. მომხმარებელი იღებს ზუსტად იმდენ გაზს, რამდენსაც ყიდულობს გარანტირებული წნევისა და გაზის ხარისხის გათვალისწინებით.



# რას წარმოადგენენ „საპატრიარქოს შავრაზმელთა ბანდა“ და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები“ და ვინ დგას მათ უკან?




„სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზის“ წევრები შინაგან საქმეთა მინისტრს ალექსანდრე ჭიკაიძესა და მთავარ პროკურორს გიორგი ბადაშვილს მიმართავენ, გაარკვიონ, ვინ არიან და რა ძალები დგანან „საპატრიარქოს შავრაზმელთა ბანდის“ და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების“ საქმიანობის უკან, რომლებიც ინტერნეტსივრცეში ავრცელებენ ვიდეოკადრებსა და მიმართვებს და რომლითაც შეურაცხყოფენ და მნიშვნელოვან ზიანს აყენებენ საქართველოს სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ინტერესებს, ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასა და კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია II-ს.

**„ალიას“ „დარბაზის“ წარმომადგენელი, თინათინ დოგრაშვილი ესაუბრა:**

– ბოლო პერიოდში ძალიან გააქტიურდნენ სხვადასხვა დესტრუქციული ძალები, განსაკუთრებით, სოციალური ქსელით, ცდილობენ ეკლესიის, პატრიარქის დისკრედიტაციას. ერთ-ერთი იწოდება „საპატრიარქოს შავრაზმელთა ბანდად“. უამრავი სტატუსია, უამრავი ფოტოა, რომელზეც წერენ ისეთ შეურაცხმყოფელ ტექსტებს, რომ გაზეთისთვის მისი გამეორებაც კი მეუხერხულება. პატრიარქზე აქტიურად წერენ, დაწერეს, „ჩერჩეტ ბერიკაცს“ უწოდებენ. მათ ჰყავთ დაგეშილი „პიკასოს კლუბი“, რომელიც ბანდას გვიწოდებს იმის გამო, რომ მათ მიერ გავრცელებულ შეურაცხმყოფელ ტექსტებზე სოციალური ქსელითვე საკადრის პასუხებს ვცემთ, ვიცავთ პატრიარქს, ეკლესიას, ამის გამო წერენ, რომ ჩვენი სახით „მხედრიონელები“ ბრუნდებიან პოლიტიკაში. ვის „მხედრიონელობაზე“ საუბრობენ, ნიკა რურუა ჰყავთ გუნდში. ახლა ველოდებით სამართალდამცავებს, თუ ისინი არ მიიღებენ ზომებს, პირადად ჩვენ გავუსწორდებით. ისეთი სიტუაციაა უკვე, რომ შეიძლება, მკვლელობა მოხდეს. გუშინ ვინმე ლევან მაისურაძე, რომელსაც ვანო მერაბიშვილის ფოტო უდევს თავის გვერდზე, ჩვენს წევრს, სანდრო უსტიაშვილს უგზავნის წერილს, სადაც პირდაპირ წერს, რომ გაგვანადგურებენ, არ გაგვახარებენ, სადმე ჩაუსაფრდებიან და ასფალტზე სახით ახოხებენ. უკვე აშკარა მუქარაზე გადავიდნენ. აქამდე წყნარად საუბრობდნენ, ახლა მუქარაზე არიან გადასულები. მივმართეთ ჭიკაიძეს, ნანუაშვილს, ბადაშვილს და ვსვამთ კითხვას, ვინ აგებს პასუხს იმაზე, ჩვენს ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს რომ დაემუქროს საფრთხე. მხოლოდ ჩვენზე არაა საუბარი, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს ებრძვიან ესენი, ვინც იცავს ქვეყნის ინტერესებს, ტრადიციებსა და ეკლესიას, ალარაფერს ვამბობ პატრიარქზე. ქვეყნის 90% ავტორიტეტად მიიჩნევს პატრიარქს და ესენი მისი ლანძღვით არიან დაკავებულები. ეს ფაშისტები ვისზე საუბრობენ? არ უნდა გაირკვეს, ვინ არიან ეს ადამიანები?

**— რა მიზანი აქვთ, ამით მხოლოდ პატრიარქის ავტორიტეტის შერყევას ცდილობენ?**

– მე ყველა მასალას ამოვიღებ და მივაწოდებ გამოძიებას და სამართალდამცავებმა გაარკვიონ კონკრეტული ადამიანები, ვინ დგანან ამის უკან. აშკარად ჩანს, რომ ყველანაირად ცდილობენ, როგორ მოაწყონ დესტაბილიზაცია. პირდაპირ ატარებენ „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებს. „საქართველოს შავრაზმელთა ბანდა“ და „ოკუპირებული ტერიტორიები“, არის ასეთი გვერდები სოციალურ ქსელში, რომელზეც მობილიზებულები არიან „ნაციონალები“ და ახორციელებენ ამ შეტევას ყველაზე, ვინც მათსავით არ აზროვნებს. ჩვენ ვიცავთ საპატრიარქოს, ვიცავთ მართლმადიდებლობას, ეროვნულობას. მართლმადიდებლობამ გვიხსნა და ახლა ამათ უნდათ მისი ფეხქვეშ გათელვა?

**— შეიტანეთ უკვე განცხადება პროკურატურაში, თუ მხოლოდ საჯარო განცხადებით შემოიფარგლებით?**

– დიახ, უკვე შევიტანეთ და ველოდებით შედეგს. ჩვენ არ გავჩერდებით. მოვითხოვთ სახელმწიფოსგან, დაიცვან ეროვნული ინტერესების დამცველი ადამიანები ამ დესტრუქციული ძალებისგან, თორემ ჩვენს ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

# სს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების“ განცხადება ძველი სახელფასო დავალიანების დაფარვის შესახებ

სს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების“ (ყოფილი სს „დიპლომისშემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის კლინიკა“) ადმინისტრაცია აცხადებს, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილ(ებ)ის/აქცი(ებ)ის უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულებით (2012030510690 22.03.12) სს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებს“ განესაზღრა ვალდებულება – სს „დიპლომის შემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის კლინიკის“ სახელფასო დავალიანების მინიმუმ 1/3-ის დაფარვა 2012 წლის პირველ ოქტომბრამდე, ხოლო დარჩენილი დავალიანების დაფარვა 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

კლინიკის მიერ ვერ იქნა მოძიებული თანამშრომელთა გარკვეული რაოდენობა, რომელთა მიმართაც ირიცხება სახელფასო დავალიანება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაცია საჯარო წესით აქვეყნებს ყოფილი სს „დიპლომის შემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის კლინიკის“ თანამშრომელთა მონაცემებს:

**დარბოაშვილი მერი, კავთიაშვილი ნათელა, ადეიშვილი ეთერი, დათუაშვილი ნუნუ, კახელიშვილი სონა, დოლიძე მერი, კიკიანი ლუბა, ალიმბარაშვილი თინათინი, დონაძე ლანდე, კიკნაძე ნათელა, ალოევა ასია, დუნდუა ნინო, კილაძე სოფიო, აღნიაშვილი გულნაზი, ებიტაშვილი ნინო, კირვალიძე-გაჩეჩილაძე მარგარიტა, ასათიანი ირა (ირინა), ფეიქრიშვილი ეკა, კობაიძე თენგიზი, ასიტაშვილი მარინე, ფსუტური მარია, კობერიძე დავითი, ასლამაზაშვილი მარინა, ფულავა ნინო, კობიაშვილი თინა, ატარშიკოვი ალექსანდრე, გაბოძე ნინო, კომერაშვილი ნარგიზი, ახმედოვა იასამანი, გაჩეჩილაძე ელენე, კონცელიძე ნინო, ახმედოვა თამილა, გაჩეჩილაძე მარგარიტა, კოპაძე ლია, ბაზეური გიორგი, გელაშვილი გიორგი, კორკოტაშვილი ბელა, ბეგლარაშვილი მაყვალა, გერაძე ლეტუშე, კორკოტაძე ნინო, ბეგლარაშვილი თამარი, გივიაშვილი ვასილი, კვარაცხელია გულიკო, ბეჟუაშვილი ქეთევანი, გოგიაშვილი ვენერა, ლაბაძე ევგენია, ბელოზოროვი კონსტანტინე, გოგიბერიძე ელზა, ლაშაური ვალერი, ბექაური ნაზი, გოგიბერიძე თამილა, ლეჟავა მელანია, ბერიძე დალი, გოგილაშვილი ნუგზარი, ლეჟავა ნუნუ, ბიბილეიშვილი დალი, გოგლიძე მერი, ლობჟანიძე ნინო, ბიწაძე იური, გოგოლაძე ცისანა, ლუკავა რეზო, ბიწკინაშვილი ესმა, გოგოლაძე მარინე, მაკარაშვილი როზა, ბოლქვაძე ენრი, გოროზიანი ჭიჭიკო, მამამთავრიშვილი ნუნუ, ბოლქვაძე ნინო, გულბანი ასმათი, მამულაშვილი ვარდიკო, ბუაძე გოგი, გულბანი თაიგული, მარგველიანი იმედა, ბუჩაშვილი ნინო, გურეშიძე იოსები, მაღრაძე-ანგელოვა ეთერი, ჩაჩავა კონსტანტინე, გურინა ლიდა, მათიაშვილი ნათელა, ჩაჩუა ინდიკო, გვარამაძე ირინა, მათიაშვილი ნინო, ჩაკვეტაძე ეთერი, ჯაფარიძე მაყვალა, მაჭარაშვილი ეთერი, ჩახუნაშვილი მედეა, ჯანეზაშვილი მანანა, მაჭავარიანი ალექსანდრე, ჩახუნაშვილი ქეთევანი, ჯანიაშვილი ლილი, მახარაძე ვენერა, ჩიჩუა-ესართია ნარგიზა, ჯანხოთელი ლელა, მახარაძე ზაირა, ჩიგოგიძე ზამირა, ჯავახიშვილი ხათუნა, მახაშვილი მარიამი, ჩიგოგიძე-ბულკაშვილი ზამირა, ჯეირანოვა იზოლდა, მახათაძე დულიკო, ცინცაძე ვახტანგი, ჯობავა-სოსელია თინათინი, მელნიკოვა ლიდია, ჩოჩიევა ზამირა, ჟორდანია ტოგო, მერებაშვილი დავითი, ჩქარეული ნანა, ჟღენტი თამარი, მერებაშვილი ეთერი, ცქვიტიშვილი ნატო, ჟღენტი გიული, მერებაშვილი გიორგი, ჩუხრუკიძე მადლენა, ჟღენტი რუსუდანი, მერებაშვილი მარიკა (მათიკო), ჩხაიძე მიხეილი, ჯუღელი ნატალია, მესხიშვილი თინათინი, ჩხეტია მიხეილი, კაკონაშვილი ალეკო(ალექსანდრე), მეუნარგია რუსუდანი, დალაქიშვილი ლელა, საყვარელიძე ინესა, ზარიძე დარეჯანი, დამენია დორა-დარეჯანი, შეყილაძე კობა, ზუბიაშვილი დალი, დამენია ნათელა, სილანტიევა ლილი, საყევარაშვილი სოლომონი, კალანდაძე ნორა, სიმონიანი სოთიკ, კარაპეტიანი ალექსანდრა, სინჯიკაშვილი თეიმურაზი, მიქელაძე ნინო, სოლოღაშვილი სოფიო, მოდრეკილაძე მანანა, სოსელია თინათინი, მღებრიშვილი ნონა, სტეფანიშვილი სუსანა, მღებრიშვილი ნუნუ, შუბლაძე დოდო, მუმლაძე ნანა, სულაბერიძე ნარი, მუსერიძე ჟუჟუნა, სულაძე ფირუზა, მძელური ლიდია, სულიკაშვილი ნანა, ნადირაძე ია, სხირტლაძე კესო, ნიკურაძე ეკატერინე, ტაბატაძე ლეილა, ნიკურაძე ლარისა, თაბუნიძე რაისა, ოკინაშვილი ელენე, თათხაშვილი ლამარა, ორბელაშვილი ეთერი, ტავლალაშვილი მარიამი, ოსეფაშვილი ეთერი, თევზაია ანასტასია, ოსეფაშვილი ნათელა, თითირაშვილი ბელა, ოსეფაშვილი ხათუნა, თითირაშვილი ნინო, ოთარაშვილი ეთერი, თითირაშვილი თამარი, პაიჭაძე ანა, თოდრია ეთერი, პაპიაშვილი თამარი, თოხმახოვი ვასილი, პაპუაშვილი ხათუნა, ტყემალაძე შოთა, პაროდიანი სოფიო, ულუმბელაშვილი როზა, ქაფიანიძე მიხეილი, ვარდიაშვილი-უსტარაშვილი ლელა, ქალდანი ცირა, ვაშაკიძე თამარი, ქამხაძე თეიმურაზი, ვეშაპიძე თამარი, ქართველიშვილი გუგული, ვოსკანიანი დონარა, ქავთარაძე ნუგზარი, ჭაჭია-მარღანია ნუცა, ქაწაშვილი ავთანდილი, ჭეჟია ლეილა, ქოქოშვილი ელისაბედი, ენგუაშვილი არჩილი, ქშუტაშვილი ნელი, წივილაშვილი ნინო, ქუთათელაძე ხათუნა, ჭუმბურიძე ნინო, ღაღანიძე ქეთევანი, წვერავა დიმიტრი, როსტიაშვილი თამარი, ხალატიანი გურამი, ღუდუშაური ნინო, ხარაიძე კონსტანტინე, რუხაძე ნათელა, ხეჩინაშვილი სიმონი, სადუნაშვილი ქეთინო, ხეროდინაშვილი ლელი, სამუშია შორენა, ხოფერია ალბინა, სამხარაძე ოლია, ხორბალაძე თამარი, სანიკიძე ბაკუ, ყანდიაშვილი იროდიონი, შაქარაშვილი ზოია, ზაალიშვილი ნაზი, შარაბიძე ლალი, ზაქარიაძე თენგიზი.**

ზემოაღნიშნული პირები ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლები, კუთვნილი სახელფასო დავალიანების მისაღებად უნდა მობრძანდეთ 2014 წლის 1-ელ ნოემბრამდე შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. №5, მე-9 სართული; სს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიები“;**

ანაზღაურების მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია:

**პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა; მემკვიდრეობის დამადასტურებელი მოწმობა), საბანკო ანგარიშის ნომერი.**



# ვინ ჩანერგა „ოდეერები“ „ოცნების“ ხელისუფლების სამსახურებში?

„ქართული ოცნება“ ნელ-ნელა „ნაციონალების“ გზას მიუყვება და მგონი, ჩვენ აზრზე არ ვართ. იმ მავნე ტრადიციებს, რომელთაც ხელისუფლებაში მოსვლამდე „ქართული ოცნება“ მომაკვდინებელ დანაშაულად უთვლიდა მიხეილ სააკაშვილის რეჟიმს, დღევანდელი ხელისუფლება წარმატებით აგრძელებს. ახლახან, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“, ხელისუფლებას ე.წ. ოდეერები გაუშიფრა. ამ ორგანიზაციის ინფორმაციით, უშიშროების ყოფილი თანამშრომლები ზაზა მაზმიშვილი (მეტსახელი „გენერალი“), ვლადიმერ ბუნტურიძე და ზაზა მულაძე, შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ მარეგულირებელ კომისიაში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და მთავარ პროკურატურაში არიან ჩანერგილები. პროკურატურასა და სასჯელაღსრულების სამინისტროს ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებიათ. შს სამინისტრომ უარყო თავისი ფარული წარმომადგენლების ყოფნა სახელმწიფო დაწესებულებებში, მათ შორის, კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის პრესცენტრის უფროსმა, ხატია ყურაშვილმა დაადასტურა, რომ ზაზა მაზმიშვილი ამ უწყებაში მართლა მუშაობს კომისიის თავმჯდომარის მრჩევლის თანამდებობაზე. აი, რა განაცხადა მან. „კომისიის თავმჯდომარის თანაშემწის თანამდებობას ზაზა მაზმიშვილი 2013 წლის აპრილიდან იკავებს. ის სახელმწიფო სტრუქტურებსა და კომისიას შორის უსაფრთხოების დარგში კოორდინაციას უზრუნველყოფს, ასევე აკონტროლებს კომისიის საქმიანობას და სახელმწიფო საიდუმლოს დაცვას. ზოგადად, ეს ინსტიტუტი ქვეყანაში 2004 წლის დეკემბრიდან, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით არსებობს“.

„ოდეერის“ ინსტიტუტი საბჭოთა კავშირში, ლავრენტი ბერიამ დანერგა. უშიშროების თანამშრომლები, ყველა სახელმწიფო სამსახურში იყვნენ ჩანერგილნი, ისინი სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდნენ და ინფორმაციას უშიშროებას აწვდიდნენ. ცხადია, სახელმწიფო დაწესებულებებში მათი არსებობა ჩვეულებრივმა თანამშრომლებმა არ იცოდნენ. ანალოგიური სქემა აამუშავა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოში. მანაც სახელმწიფო უწყებებში ჩანერგა „ოდეერები“ და მათ პოლიტიკურ ოპონენტებთან ბრძოლისთვის იყენებდა. ეს „ოდეერები“ აწვდიდნენ უშიშროებას სრულ ინფორმაციას ოპოზიციურად მოაზროვნე და აქტიური ადამიანების შესახებ, მათი ინფორმაციების საფუძველზე ათავისუფლებდნენ სამსახურებიდან ადამიანებს – სკოლის დირექტორებს, ექიმებს, მასწავლებლებს, საჯარო მოხელეებს.

ვიდრე „ქართული ოცნება“ მოვიდოდა ხელისუფლებაში, მკაცრად გმობდა სააკაშვილის მიერ ამ ინსტიტუტის აღდგენას და ხალხს ჰპირდებოდნენ, რომ სააკაშვილს გაისტუმრებდნენ თუ არა, მაშინვე მოსპობდნენ „ოდეერებს“. თქვენც არ მომიკვდეთ! აგერ უკვე 2 წელია „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია და გაირკვა, რომ სააკაშვილის რეჟიმის მსგავსად, თავადაც წარმატებით იყენებს სააკაშვილის ამ პრაქტიკას.

ისმის კითხვა, რაში უნდა სჭირდებოდეს ეს „ოდეერები“ დღევანდელ ხელისუფლებას? მათი ლიდერები დღე და ღამ იმას აცხადებენ, რომ ერთი გუნდი არიან, დასამალი არავისგან არაფერი არ აქვთ. თუ შენი ერთგული კადრები გყავს კონკრეტულ სამინისტროში, „ოდეერი“ რაღაში გჭირდება? იმ სამინისტროში ხომ ვერანაირი ინფორმაცია ვერ დაიმალება და ხელისუფლების საჭირო შტომდე მიაღწევს, მათ შორის, უშიშროებამდე, თუკი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საფრთხეს შეეხება საქმე? რა გამოდის, სინამდვილეში ერთმანეთს არ ენდობიან ხელისუფლების წარმომადგენლები და ერთიმეორეს „ოდეერების“ მეშვეობით აკონტროლებენ? არც ეს არის გამორიცხული, რადგან ხელისუფლებაში არსებულ განხეთქილებაზე არაერთხელ თქმულა და დაწერილა.

აქვე ერთიც უნდა ვთქვა. სახელისუფლებო სტრუქტურებში მრავლად არიან „ნაცმოძრაობის“ ნარჩენები და ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში, შესაძლოა, მათ საბოტაჟი მოაწყონ. შესაძლოა, ამ არასანდო „ნაციონალთა“ გასაკონტროლებლად, ინფორმაციის მოსაპოვებლად სჭირდებათ „ოდეერები“, მაგრამ ასეც რომ იყოს, ხელისუფლების საქციელს გამართლება მაინც არ აქვს. ვიმეორებ, მათ გასაკონტროლებლად ხელისუფლების ერთგული თანამშრომლებიც საკმარისია და ამისთვის „ოდეერი“ არ არის საჭირო. როგორ, თუ „ნაცები“ ოპოზიციას „ოდეერებით“ აკონტროლებდა და სდევნიდა, მაშინ უნდა ავყვირებულიყავით და გვეთქვა, რომ ეს დანაშაული და საბჭოური გადმონაშთია და თუ იმავეს „ქართული ოცნება“ გააკეთებს, ამაზე უნდა გავჩუმდეთ? ეგრე არ გამოვა, მიქარვა მიქარვაა, გინდა „ნაცებისა“ იყოს და გინდა „ოცნებისა“.

**„ალიას“ ამ სკანდალის დეტალების შესახებ, უსაფრთხოების ექსპერტი, ვახტანგ მაისაია ესაუბრა:**

**— ბატონი ვახტანგ, რას უნდა ნიშნავდეს ხელისუფლების მიერ „ოდეერების“ ინსტიტუტის შენარჩუნება და გამოყენება? ვინმესი ეშინიათ და მათ აკონტროლებენ სახელმწიფო უწყებებში თუ ერთიმეორეს აკონტროლებენ?**

– „ოდეერის“ ინსტიტუტი საბჭოური გადმონაშთია და ბიძამისის, „კგბ“-ს ოფიცრის, თემურ ალასანიას რჩევით, მიხეილ სააკაშვილმაც დანერგა საქართველოში. „ოდეერის“ სამსახურის არსებობას მხოლოდ ერთ შემთხვევაში აქვს გამართლება – თუ ის ჩანერგილია სახელმწიფო სტრატეგიული მნიშვნელობის, დახურულ დაწესებულებაში. სახელმწიფო უშიშროების სამსახურს, ამას ვერ მოედავები. მაგალითად, საფრანგეთში ასეთ სახელმწიფო დაწესებულებებში ჩანერგილნი არიან უშიშროების აგენტები და ამ სამსახურებში არავინ იცის, ვინ არიან ეს ადამიანები.

**— გასაგებია, მაგრამ კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია და მთავარი პროკურატურა დახურული ობიექტებია?**

– ცხადია, არ არის დახურული და შესაბამისად, „ოდეერების“ აღმოჩენა ამ სტრუქტურებში დანაშაულია. ეს არის დარტყმა დემოკრატიული პროცესისთვის. მე კარგად მახსოვს ბიძინა ივანიშვილი ინტერვიუები, როცა წინასაარჩევნოდ და მერეც, აცხადებდა, რომ ამ ინსტიტუტს გააუქმებდა. ასე არ მოხდა და ეს ორმაგი სტანდარტია – თუ სააკაშვილის დროს დანაშაული იყო „ოდეერების“ ჩანერგვა, ჩვეულებრივ სახელმწიფო დაწესებულებებში, ცხადია, ახლაც დანაშაულია.

რაც შეეხება თქვენ კითხვას, „ოდეერებით“ ვის აკონტროლებს ხელისუფლება, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ერთმანეთს კი არა, სახელმწიფო სამსახურებში შერჩენილი „ნაციონალების“ კონტროლისთვის სჭირდებათ მათი არსებობა. ყვე-



**სააკაშვილმა სახელმწიფო უწყებებში ჩანერგა „ოდეერები“ და მათ პოლიტიკურ ოპონენტებთან ბრძოლისთვის იყენებდა. ეს „ოდეერები“ აწვდიდნენ უშიშროებას სრულ ინფორმაციას ოპოზიციურად მოაზროვნე და აქტიური ადამიანების შესახებ, მათი ინფორმაციების საფუძველზე ათავისუფლებდნენ სამსახურებიდან ადამიანებს — სკოლის დირექტორებს, ექიმებს, მასწავლებლებს, საჯარო მოხელეებს...**

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დათა ახალაიას ექსტრადირების საკითხი 16 ოქტომბერს გაირკვევა



საბერძნეთის სასამართლო დათა ახალაიას ექსტრადირების საკითხზე გადაწყვეტილებას 16 ოქტომბერს მიიღებს და გაირკვევა, დაკმაყოფილდება თუ არა ქართული მხარის მოთხოვნა.

8 ოქტომბერს სხდომა მოსამართლის მოთხოვნით გადაიდო. მან განმარტა, რომ სჭირდება დრო დამატებითი ინფორმაციის შესასწავლად.

საბერძნეთში პროცესს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებიც ესწრებოდნენ. თავად ახალაიამ სასამართლოს შენობა, მეუღლესთან ერთად, უკომენტაროდ დატოვა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ბაჩო ახალაიას ახალ ბრალს წაუყენებენ“



ბაჩო ახალაიას მეუღლის, ანი ნადარეიშვილის თქმით, პროკურატურა ახალაიას ბრალს ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეზე განაჩენის გამოცხადებამდე წაუყენებს.

„ლოგიკური იქნება თუ განაჩენის წინ ბაჩოს ახალ ბრალს წაუყენებენ. ხელისუფლებას აქვს მოლოდინი, რომ ახალაიას მიმართ ამჯერადაც გამამართლებელი განაჩენი დადგება და სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ ბაჩოს ახალ ბრალს წაუყენებენ“, – აცხადებს ნადარეიშვილი.

რამდენიმე დღის წინ ნავთლუღის სპეცოპერაციის ერთ-ერთ ეპიზოდზე სასამართლო განხილვები დასრულდა. შემდეგი პროცესი 13 ოქტომბერს არის ჩანიშნული. (ნიუპოსტი)



## საქართველოში მიწისძვრა მოხდა

საქართველოში 3,7 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა დაფიქსირდა. მიწისძვრის ეპიცენტრი ტყიბულის მუნიციპალიტეტი იყო.

მიწისძვრა თბილისის დროით 16:36 საათზე მოხდა და წინასწარი მონაცემებით, ნგრევა არ მოჰყოლია. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

ლასთვის ცნობილია, რომ „ნაცმოძრაობა" დღეს დესტრუქციული, ყველაფერზე წამსვლელი ძალაა. ეს დაადასტურა იმ ფაქტმაც, რაც წინა კვირაში მოხდა – „ნაცმოძრაობის" ახალგაზრდული ორგანიზაციის, „თავისუფალი ზონის" წევრებმა ჟურნალისტი ზაზა დავითაია სცემეს და დესტაბილიზაციის დაწყების მცდელობა ჰქონდათ. ამგვარ პროვოკაციებს „ნაციონალები" კიდევ გააგრძელებენ და შეეცდებიან, ამ საქმისთვის სახელმწიფო დაწესებულებებში შერჩენილი თანაგუნდელები გამოიყენონ, თუნდაც, საბოტაჟის ან სხვა მიზნებისთვის. სავარაუდოდ, შესაძლოა, აი, ეს საფრთხე გააცნობიერა ხელისუფლებამ და ამიტომაც დასჭირდა „ოდეერებით" მათი გაკონტროლება. თუმცა, ვიმეორებ, ამით ხელისუფლებას არ ვამართლებ, რადგან ლავრენტი ბერიას დროინდელი პრაქტიკის გამოყენება ახლა, უბრალოდ, უხერხულია.

**— მეც ეგ მიკვირს, თუ სააკაშვილს ამას დანაშაულად უთვლიდა დღევანდელი ხელისუფლება, დღეს აღარ არის დანაშაული?**

– კი, დამნაშავე უნდა დაისაჯოს, უნდა გაირკვეს, ვინ სად ჩანერგა, რა მიზნებისთვის. კარგი იქნება, თუ ამ საქმეს გამოიძიებენ. თუმცა, მე შემიძლია გითხრათ, სავარაუდოდ, ვინ ჩანერგა „ოდეერები" სახელმწიფო სტრუქტურებში. სააკაშვილის დროს, „ოდეერების" მომზადება და მათი გაკონტროლება ევალებოდა შს სამინისტროს კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსის მოადგილეს, ოთარ ორჯონიკიძეს. მე სწორედ ამ კაცმა დამიჭირა, მაგრამ მე ჯანდაბას, ორჯონიკიძემ „შეკერა" „ენვერის", „ჯაშუში ფოტოგრაფებისა" და სიმონ კილაძის საქმეები. მას ჰქონდა გეგმა, „ოდეერების" მუშაობისა და კონტროლისა.

**— ოთარ ორჯონიკიძე დღესაც მუშაობს დაზვერვაში?**

– არ ვიცი, 2013 წლის შემდეგ ამ კაცზე ინფორმაცია აღარ არსებობს, შარშან კი ისევ უშიშროებაში მუშაობდა. არ ვიცი, სად არის, მაგრამ მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ „ოდეერების" საქმეში ჩარეულია და მისი ხელით იმართება ეს პროცესი. ეს ვარაუდია, მაგრამ მე ასე ვფიქრობ. ერთ რამეს კი წყალი არ გაუვა – თუ საბოლოოდ დადასტურდა, რომ „ოდეერები" არიან სახელმწიფო სტრუქტურებში, ეს უეჭველად ოთარ ორჯონიკიძის მიერ შემუშავებული პროგრამით ხორციელდება. თუ ის ახლა წასულია უშიშროების სტრუქტურებიდან, მისი კადრები, მისი გამოცდილება და პროგრამა დარჩა უშიშროებაში და რაღა თქმა უნდა, დღევანდელი ხელისუფლება ამ რესურსს გამოიყენებდა. როცა ხელთ გაქვს მზამზარეული და აპრობირებული პროგრამა, ახლის შექმნით თავს არ შეიწუხებ.

აქ ერთ პრობლემზეც ვიტყვი. დავუშვათ და მართლა ჩანერგა ხელისუფლებამ ეს „ოდეერები" სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში. ვის ჩანერგავდა? ცხადია, მათი დიდი ნაწილი სააკაშვილის დროინდელი უშიშროების ყოფილი თანამშრომლები იქნებიან. ეს ადამიანები კი დღესაც სააკაშვილის ერთგულები არიან, გამოდის, ეს „ოდეერები" ორმაგი აგენტები არიან, რადგან ისინი ხელისუფლებასაც მიაწვდიან ინფორმაციას და „ნაცმოძრაობასაც". მეტიც, უფრო მოსალოდნელია, რომ ხელისუფლებას დეზინფორმაცია შეაჩეჩონ და „ნაციონალებს" – რეალური და მათთვის სასურველი ინფორმაცია. შედეგად, „ნაციონალებს" ზედმიწევნით ეცოდინებათ ყველაფერი, რაც სახელმწიფო სტრუქტურებში ხდება. თუ ეს ასეა, ხელისუფლება თავისთვის დიდ საფრთხეს ამზადებს და ჯერ ვერ ხვდება.

**— ბატონო ვახტანგ, შესაძლოა, რაიმე იურიდიული საფუძველი ჰქონდეს ამ „ოდეერების" ინსტიტუტის არსებობას?**

– რა იურიდიული საფუძველი უნდა ჰქონდეს? კანონი რომ იყოს ამის შესახებ, ეს მეც მეცოდინებოდა და თქვენც. კარგი, დავუშვათ, ჩვენ გამოგვეპარა და „საერთაშორისო გამჭვირვალობასაც" გამოეპარა, ისინი ხომ კანონებს კარგად იცნობენ?

**— ხომ შეიძლება, არსებობდეს შს მინისტრის ან სუს-ის უფროსის რაიმე საიდუმლო ბრძანება, რომლის საფუძველზეც ეს „ოდეერები" არიან ჩანერგილნი სახელმწიფო სტრუქტურებში?**

– კი, ეგ შესაძლოა, მაგრამ ეს უკვე უკანონობის დაკანონებაა. ეგრე ქაღალდზე, შეგიძლია დაწერო, რომ მკვლელობა დანაშაული არ არის, მაგრამ ეს კანონიერი იქნება? ხომ გითხარით, არის სახელმწიფოები, საფრანგეთი, ისრაელი და სხვები, სადაც „ოდეერის" ინსტიტუტი სწორედ კანონის საფუძველზე მოქმედებს, მაგრამ იქ მკაცრად არის განსაზღვრული, სად უნდა ჩაინერგონ „ოდეერები". ვიმეორებ, ასეთები მხოლოდ სტრატეგიული მნიშვნელობის დახურული ობიექტებია.

**„ალიას"ამ სკანდალის შესახებ „ქართული ოცნების" ლიდერთა პოზიციების დაფიქსირება სურდა, მაგრამ გუშინ, „ქართული ოცნების" ოფისში ჯერჯერობით, ჩვენთვის გაურკვეველი შეხვედრა იყო და გვიანობამდე ყველა იქ იმყოფებოდა. სწორედ ამის გამო არ უპასუხეს ჩვენს სატელეფონო ზარებს ირაკლი სესიაშვილმა, სოსო ჯაჭვლიანმა, მანანა კობახიძემ, ვიქტორ დოლიძემ, დავით საგანელიძემ, ირაკლი ჩიქოვანმა და სოსო ვახტანგიშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ მათ მესიჯით ვაცნობეთ, რის თაობაზე გვსურდა მათი კომენტარი.**

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37



**„მე კარგად მახსოვს ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუები, როცა წინასაარჩევნოდ და მერეც, აცხადებდა, რომ ამ ინსტიტუტს გააუქმებდა. ასე არ მოხდა და ეს ორმაგი სტანდარტია — თუ სააკაშვილის დროს დანაშაული იყო „ოდეერების" ჩანერგვა, ჩვეულებრივ სახელმწიფო დაწესებულებებში, ცხადია, ახლაც დანაშაულია"**

**„ოდეერებით" ვის აკონტროლებს ხელისუფლება, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ერთმანეთს კი არა, სახელმწიფო სამსახურებში შერჩენილი „ნაციონალების" კონტროლისთვის სჭირდებათ მათი არსებობა. ყველასთვის ცნობილია, რომ „ნაცმოძრაობა" დღეს დესტრუქციული, ყველაფერზე წამსვლელი ძალაა"**

**„აქ ერთ პრობლემზეც ვიტყვი. დავუშვათ და მართლა ჩანერგა ხელისუფლებამ ეს „ოდეერები" სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში. ვის ჩანერგავდა? ცხადია, მათი დიდი ნაწილი სააკაშვილის დროინდელი უშიშროების ყოფილი თანამშრომლები იქნებიან. ეს ადამიანები კი დღესაც სააკაშვილის ერთგულები არიან, გამოდის, ეს „ოდეერები" ორმაგი აგენტები არიან, რადგან ისინი ხელისუფლებასაც მიაწვდიან ინფორმაციას და „ნაცმოძრაობასაც". მეტიც, უფრო მოსალოდნელია, რომ ხელისუფლებას დეზინფორმაცია შეაჩეჩონ და „ნაციონალებს" — რეალური და მათთვის სასურველი ინფორმაცია. შედეგად, „ნაციონალებს" ზედმიწევნით ეცოდინებათ ყველაფერი, რაც სახელმწიფო სტრუქტურებში ხდება. თუ ეს ასეა, ხელისუფლება თავისთვის დიდ საფრთხეს ამზადებს და ჯერ ვერ ხვდება"**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ანტისანიტარიის გამო კვების ობიექტები იხურება



სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორებმა მარნეულში მდებარე საქაბაბე ი/მ „ტარიელ იბრაგიმოვს", ასპინძაში სურსათის მაღაზია ი/მ „იური ბერიძეს" და თელავში რძის პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმო ი/მ „გურამ მჭედლიშვილს" კრიტიკული შეუსაბამობების გამო საწარმოო პროცესი შეუჩერეს.

როგორც სურსათის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, ინსპექტირებისას აღმოჩნდა, რომ მარნეულში მდებარე საქაბაბეში, ხორცის შენახვის სათანადო პირობები უზრუნველყოფილი არ იყო, მაცივარი ამორტიზებული იყო, საქაბაბეს არ ჰქონდა წყალმომარაგება და არ ხდებოდა იმ საგნებისა და ინვენტარის რეცხვა-დეზინფექცია, რომელიც უშუალო შეხებაში იყო მზა სურსათთან.

თელავში მდებარე რძის პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოში კი წარმოების პროცესის პარალელურად სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა, დარღვეული იყო ტექნოლოგიური პროცესის ნაკადურობა, საწარმოში არ ხდებოდა იმ საგნების, აღჭურვილობისა და მოწყობილობების დეზინფექცია, რომელიც უშუალო შეხებაშია სურსათთან. როგორც სააგენტოში განმარტავენ, ამ კრიტიკულ შეუსაბამობებთან ერთად საწარმოში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით მწერი და შენობა არ იყო დაცული მღრღნელებისგან.

ასევე, დადგინდა, რომ ასპინძაში მდებარე მაღაზიაში არ იყო ცივი და ცხელი გამდინარე წყალმომარაგება, გარდა ამისა, მაღაზიაში ხორცი იყიდებოდა შესაბამისი მოწმობა „ფორმა 2"-ის გარეშე.

ჩამოთვლილი კრიტიკული შეუსაბამობების გამო სამივე ბიზნესოპერატორი 1000-1000 ლარით დაჯარიმდა. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მათ საწარმოო პროცესი, სააგენტოს სპეციალისტების გადაწყვეტილებით, ამ შეუსაბამობების აღმოფხვრის შემდეგ აღუდგებათ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## თბილისის მერია ნიკა მელიასა და ირაკლი აბესაძეს პასუხობს



თბილისის მერია „ნაციონალური მოძრაობის" წევრების ნიკა მელიასა და ირაკლი აბესაძის მიერ 8 ოქტომბერს წაყენებულ ბრალდებებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„თბილისის მერიასთან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებმა გამართეს შოუ, რომელშიც საკრებულოს წევრი ირაკლი აბესაძეც მონაწილეობდა. ძალიან სამწუხაროა, რომ საკრებულოს წევრმა აირჩია სრულიად გაუმართლებელი, პოპულისტური და არასაქმიანი მიდგომა თბილისის მთავრობის სხდომაზე მოსახვედრად. მთავრობის სხდომაზე საკითხების დაყენებას თავისი წესები და პროცედურები აქვს, რაც მას არ გაუვლია. მიუხედავად ამისა, თბილისის მერი აპირებდა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ მიეცა მისთვის შესაძლებლობა, თბილისის მთავრობის წევრებს შეხვედროდა და ესაუბრა იმ საკითხზე, რისთვისაც მერიაში იყო მოსული.

სამწუხაროდ, ბატონი აბესაძე მერიის შენობასთან სხდომის დაწყების წინ 15 წუთით მოვიდა და უკანვე გაბრუნდა. მისი ეს ქმედება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მას რეალურად არა საკითხის დაყენება თუ მისი გადაწყვეტა აინტერესებს, არამედ დგამს შოუს, არ აინტერესებს იმ ე.წ. უკანონოდ გაპთავისუფლებულთა ბედი და მათით მანიპულირებს.

რაც შეეხება ატესტაციის გადავადებას იმ მიზეზით, რომ განთავისუფლებულთა ძალიან მცირე ნაწილმა სასამართლოს მიმართა და მერია მის გადაწყვეტილებას უნდა დაელოდოს, ნამდვილად ვერ გავიზიარებთ. ატესტაციის ჩატარების ვადებს გვიდგენს კანონმდებლობა და ჩვენ კანონს ვერ და არ დავარღვევთ. ამასთანავე, როგორც ჩანს, აბესაძემ არ იცის, რომ იმ ადამიანთაგან, ვისაც სასამართლოში სარჩელი აქვს შეტანილი, თუ სასამართლო რომელიმე მათგანზე მიიღებს სამსახურში აღდგენის გადაწყვეტილებას, ჩვენ ამ შემთხვევაშიც მოგვიწევს, დავემორჩილოთ კანონს.

რაც შეეხება უსაფუძვლო ბრალდებებს, რომ მერიიდან ან მისი სტრუქტურული ერთეულებიდან თანამშრომელთა განთავისუფლება პოლიტიკური ნიშნით ხდება, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ არის სიცრუე. იმ მოხელეთაგან, ვინც მერიაში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლამდე მუშაობდა, 95% ჩვეულებრივ აგრძელებს მუშაობას. ამიტომ განთავისუფლების ცალკეული შემთხვევები პოლიტიკურ დისკრიმინაციასთან არანაირ კავშირში არ არის. მათი ნაწილი პირადი განცხადების საფუძველზე, ნაწილი კი ადმინისტრაციული დარღვევების გამო განთავისუფლდა", – აღნიშნულია მერიის განცხადებაში. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რას უყვება მიხეილ ხუბუტია „ალიას“ მოსკოვში ჩატარებულ „თბილისობასა“ და ატეხილ სკანდალზე

4 ოქტომბერს მოსკოვში „თბილისობა“ იზეიმეს, სადაც მიწვეული იყვნენ მომღერლები: ნინი ბადურაშვილი, ლელა წურწუმია, ნინო ჩხეიძე. საინტერესოა, რატომ აღნიშნეს მოსკოველმა ქართველებმა „თბილისობა“ 4-ში, როდესაც თბილისში ოფიციალურად 25-26 ოქტომბერს იმართება? თუმცა, უფრო საინტერესო სოციალურ ქსელში ის გამოხმაურებები და შეფასებებია, რაც ქართველი მომღერლების მოსკოვში ჩასვლას მოჰყვა: „სირცხვილი თქვენ, ოკუპანტ ქვეყანაში რომ იმღერეთ“; „ასეთი რა ფული გადაგიხადეს, მტრის ბუნაგში რომ კონცერტი გამართეთ“; „ჩვენი დაღუპული ჯარისკაცების სისხლზე რომ გაიარეთ მოსკოვში კონცერტზე წასვლით, ვერ ხვდებით?“; „მონები ყოფილხართ, სინდისი არ გაქვთ, პუტინს უმღერით?“ და ა.შ.

ცნობადი სახეებიდან განსაკუთრებით ნანუკა ჟორჟოლიანი გამოირჩეოდა, რომელმაც „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე დაწერა:

„მოსკოვში თბილისობა დამთავრდა:) ძაან საინტერესოთ. ვიღაც ადგენს წყალტუბო-ლონდონის რეისს, რა შუაშია, მაგრამ ნუ კარგია რომ არ მესმის:) ვიღაც ამბობს რომ კმაყოფილია მოსკოვში ნანახ საქართველოს დროშაზე, „we dont wonna Putin“-ის ფონოგრამის ფონზე. ვიღაც იხსენებს რამდენი წელია იცნობს ხუბუტიას, ვიღაც ამტკიცებს მე სულ არ ვიყავი წინააღმდეგი სხვები წასულიყვნენო, თუმცა მისი პროტესტი არ მახსოვს კოლეგების კრიტიკის დროს მაშინ:) მე კიდევ მეგონა, რომ წავიკითხავდი განმარტებას: მეგობრებო არ ვიცოდი თუ ხუბუტიას დაფინანსებულ ღონისძიებაზე მივდიოდითო:) რადგან იცოდნენ, რადგან ბედნიერებიც არიან და უფრო მეტიც, კმაყოფილებიც, ხუბუტია ზის ეხლა და ამბობს: ამათაც ხომ შევუკვეთეთ „მუსიკა“, მალე ჩვენს დაკრულზეც იცეკვებენ:) ასეა ეს!“, – წერს ჟორჟოლიანი და მოგვიანებით ამატებს: „რა მოკლე ყოფილა გზა, წაღვერიდან მოსკოვამდე ხვალამდე ჩემო მეგობრებო... აი ხუბუტიასთან რომ ისხდნენ რესტორანში, კმაყოფილი და გაღიმებული სახეებით, რაზე ლაპარაკობდნენ მხოლოდ ეგ მაინტერესებს. ეხლა გავედი“.

პასუხებმაც არ დააყოვნა. ნინო ჩხეიძის მეუღლემ, ბიზნესმენმა გიორგი კორახაშვილმა „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე დაწერა: „პუტინ-მედვედევის დედაც მოვტ... თავისი გაბედავებით ზემოდან დაყოლებული, აქ რა ამბავი ყოფილა აწეული :))) ე.ი. სამი მხარე იგინება: ქოცები, რომლებსაც შურთ და გონიათ რომ ნინო ჩხეიძე ფულს აკეთებს მოსკოვში, არადა მაგათ უნდა ეკეთებინათ :))))) რუსეთუმე დედამოტ... პროვოკატორები, რომლებიც იძახიან თუ როგორ გაბედეს სააკაშვილის მონებმა მოსკოველ ქართველებთან სიმღერა და ნაცები, რომლებსაც გონიათ რომ ამ სამმა ადამიანმა ქვეყანას უღალატა, თქვე ჩემისებო „ერისიონისგან“ განსხვავებით ესენი კრემლში არ გამოსულან და მუხლებზე არ დამდგარან, ამაყად ჩავიდნენ, ქართულად მტრის ზურგში თან ისე რომ არავის სიტყვა არ დასცდენია, ერთი წამით მათ პოლიტიკურ კურსზე, იმიტომ რომ იცოდნენ რა პასუხსაც მიიღებდნენ. ეს გაბედავების სურათები რომ ატრიალეთ, გეტრიალებინათ ქართული დროშები მოსკოვის ცენტრში, 30000 ქართველი მოვიდა, 80% ყველა იმ მოტივაციით რომ ენატრებათ ყველაფერი ქართული. იქ რა პატრიოტები არ ცხოვრობენ? იქ რა არ ტკივათ თავიანთი ქვეყანა? პუტინს უმღერეს თუ რუსულ ჯარს? რაც შეეხება ღალატს და ფულზე გაყიდვას, გადახედოს ყველამ თავის ცხოვრებას, ფული რომ ყოფილიყო პრიორიტეტი ჩემი ოჯახისთვის დღეს ყველა ჩემი ბიზნესი არ იქნებოდა გაკოტრებული და დაყადაღებული, არ იქნებოდა 50 უაზრო სისხლის სამართლის საქმეები აღძრული, ზოგ ზოგიერთი ენატლიკინა ჟურნალისტის ოჯახისგან განსხვავებით, რომლებმაც რატომღაც და როგორღაც მოახერხეს ბიზნესების გადარჩენაც, თავიანთი ოჯახის წევრების გადარჩენაც, ცემა ტყეპის შერჩენაც (ალბათ იმსახურებდა), გაიხსენოს თავისი გადაცემები, გაიხსენოს თავისი „ოჯახის წევრების და ახლობლების“ ჩვენებები, გაიხსენოს უაზრო სმაილიკები იმ თემაზე რომ ვანოს აგენტია ბედუკაძე და ა.შ. და კიდევ ბევრი სხვა და მერე გადახედეთ აფხაზეთის ხმის სააგენტოს, რომელიც ჩემი შექმნილია. არც ნინო ჩხეიძეს და არც მე არასოდეს არ გვიღალატია არც ჩვენი ქვეყნისთვის და არც მეგობრებისთვის. უბრალოდ სასაცილოა მართლა ეს ყველაფერი. P.S. ყველაფერი კარგად იქნება, აბანოში ჩანს თეთრიც და შავიც :)))“, – წერს გიორგი კორახაშვილი.

ლელა წურწუმიას ქმარმა, კახა მამულაშვილმა კი დაწერა: „საერთოდ არ მინდოდა ამაზე კომენტარის გაკეთება, ლელამაც ძალიან მთხოვა, მაგრამ იძულებული გამხადეთ, უბრალოდ გითხრათ: მიზეზი ბევრია... მთავარი ის არის, რომ საერთოდ არ ვიცნობ გაბედავას. ლელამ უმღერა ამდენ ქართველს, რომლებიც საქართველოს დროშებით იყვნენ მისულები იქ, თქვენ ეს ხალხი მოღალატეები გგონიათ, რადგან იქ არიან და ცხოვრობენ? ჰონორარი? საერთოდ არ აგვიღია. რომც აგველო, არც ეგაა პრობლემა. საერთოდ, შორს ვარ იმისგან, რომ „ფეისბუკით“ ვიღაცები ვლანძღო, მგონია, რომ ეს არასწორია. არასოდეს არ მაინტერესებდა და არ მიკითხავს, რატომ წავიდა „ერისიონი“, რატომ იმღერა პაატა ბურჭულაძემ, რომელიც ჯერ ლანძღეთ და რომ ჩამოვიდა, მერე ბრწყინვალების ორდენი დაკიდეთ. არასოდეს არ ჩავთვლი, რომ ისინი მოღალატეები არიან. რა თქმა უნდა, შეიძლება, არ მესიამოვნოს რაღაცები და ვიღაცებსაც არ ესიამოვნოთ ის, რომ ჩვენ წავედით, მაგრამ, როდესაც სამშობლოს ღალატზეა ლაპარაკი, ძალიან გთხოვთ, თავი შეიკავეთ, სასაცილოა მართლა იმ ადამიანებისგან, ვინც ჩვენზე მაგას ლაპარაკობს. მიშა ხუბუტიას ვიცნობთ დაახლოებით 15 წელია, მეტი თუ არა. ჩვენი შეხედულებები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ ჩვენს ურთიერთობებს, როდესაც ჩავდიოდით რუსეთში და თუ სადმე ვხვდებოდით, ეს ხელს არასოდეს უშლიდა. სააკაშვილიც მეგობრობდა ხუბუტიასთან და ომის მერეც შეხვედრია, მაგრამ ერთი წამით არ მიფიქრია, რომ რამე არაქართულს ან არასახელმწიფოებრივს აკეთებდა, მიუხედავად იმისა, რომ ხუბუტიას არ დაუმალავს, რომ რუსეთის მთავრობასთან ახლოს იყო. სიმღერას თქვენ კუნტრუშსა და გართობას ეძახით, ჩვენთვის ეს პროფესიააა... მაინცდამაინც რაგბი უნდა ვითამაშოთ ან ვიჭიდაოთ, ან ოპერაციები უნდა გავაკეთოთ და ისე ჩავიდეთ რუსეთში? ძალიან გვიხარია, რაგბისტები რომ სოჭში ჩადიან რუსეთის მიერ წაღებულ ტერიტორიაზე, რუსებს რომ უგებენ და თამაშს ესწრება ამდენი ქართველი, მოჭიდავეები რუსეთში ფინალს რომ იგებენ, რომელსაც ესწრება პუტინი, მოღალატეები არიან? ამას თავის გასასამართლებლად კი არ ვწერ, უბრალოდ, ინფორმაციისთვის. ვინმესი რამე თუ არ მომწონს, პირადად ვეუბნები,

გაგრძელება მე-8 გვერდზე



**„მე მეგონა, რომ წავიკითხავდი განმარტებას: მეგობრებო არ ვიცოდი თუ ხუბუტიას დაფინანსებულ ღონისძიებაზე მივდიოდითო:) რადგან იცოდნენ, რადგან ბედნიერებიც არიან და უფრო მეტიც, კმაყოფილებიც, ხუბუტია ზის ეხლა და ამბობს: ამათაც ხომ შევუკვეთეთ „მუსიკა“, მალე ჩვენს დაკრულზეც იცეკვებენ:) ასეა ეს!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ირაკლი ღარიბაშვილი საზოგადოებას ბოდიშს უხდის



პრემიერ-მინისტრი ბოდიშს უხდის ყველას, ვისაც ახალი სავიზო პოლიტიკის ამოქმედებასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა.

„მინდა, ბოდიში მოვუხადო ყველა იმ უცხოელ მოქალაქეს, რომელსაც ახალი სავიზო პოლიტიკის ამოქმედებასთან დაკავშირებით გარკვეული უხერხულობა და პრობლემები შეექმნა. საზღვრის დაცვის პოლიცია ეფექტურად მუშაობს“. – განაცხადა ღარიბაშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შინდისი-კრწანისის მიმართულებით ახალი გზა შენდება



მთაწმინდის მიმდებარე დასახლებების თბილისთან დამაკავშირებელი ახალი გზა შინდისიდან კრწანისის მიმართულებით აშენდება. ამ სოფლების დედაქალაქთან შემოერთების შემდეგ, წყნეთიდან, კიკეთიდან, კოჯრიდან, შინდისიდან, წავკისიდან, ტაბახმელიდან და სხვა დასახლებებიდან თბილისისკენ მომავალმა სატრანსპორტო ნაკადმა მაქსიმალურად დატვირთა სოლოლაკის ისედაც ვიწრო და გადამჭიდროებული ქუჩები. სატრანსპორტო მოძრაობის ნაკადების გაზრდის გამო, სოლოლაკის ქუჩები ზენორმატიულ გადატვირთვებს განიცდის, რაც საფრთხეს უქმნის ისტორიულ განაშენიანებას. ამასთანავე, პრობლემები შეექმნა მოქალაქეთა კომფორტულ და დროულ გადაადგილებასაც.

მოძრაობის განსატვირთად, საჭირო გახდა ახალი მიმართულების გაჩენა, რომელიც დღეს არსებულ პრობლემებს დღის წესრიგიდან მოხსნის. შესაბამისად, გადაწყდა, რომ შინდისიდან კრწანისის მიმართულებით მოეწყოს ახალი გზა, რაც მოქალაქეთა კომფორტული გადაადგილების შესაძლებლობას შექმნის.

არჩეული მიმართულება – შინდისი-კრწანისი, წარმოადგენს გრუნტის არსებულ გზას, რომლის გაფართოება-კეთილმოწყობით მოხდება ქალაქის სატრანსპორტო მოძრაობის გადანაწილება. გზა შინდისიდან დაიწყება, გაივლის კრწანისს და შეუერთდება დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებს.

ამ ეტაპზე თბილისის მერიის კეთილმოწყობისა და არქიტექტურის საქალაქო სამსახურებმა საპროექტო მოსამზადებელ დოკუმენტაციაზე მუშაობა, პრაქტიკულად, დაასრულეს. წინადადება წარედგინება თბილისის საკრებულოს, რის შემდეგაც გზის პროექტირებაზე ტენდერი გამოცხადდება. აღნიშნული გზის მშენებლობა 2015 წელს დაიწყება. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



*მეშვიდე გვერდიდან*

ზოგად ჭრილში არ გადამაქვს და „ფეისბუკიდან" არ ველაპარაკები. არავინ არ შემიწუხებიხართ ჩემი პრობლემებით, ჩემი პირადი ინტერესები და წყენა არასოდეს არ დამიყენებია ქვეყნის ინტერესებზე მაღლა (გამგები გაიგებს). არასოდეს ადამიანებს არ დავუყვიწყებ პატარა სიკეთესაც კი. ესაა ჩემი პასუხი კომპიუტერთან მჯდომი „პატრიოტების" მისამართით. მე ჩემი ქვეყნისა და ჩემი თავის წინაშე ვარ მართალი და არ მაინტერესებს, ზოგიერთი ბინძური ტვინი რას ფიქრობს. პრობლემა



**„ძალაუნებურად ამ სტატუსებზე ლაიქების ავტორებსაც დავაკვირდი და ჩემთვის გასაგებია ყველაფერი. იმედია, ყველა თავის დაწერილზე პასუხისმგებელია, ოღონდ იმას არ ვჭამ, რომ სხვაზე წერდით და ლელა არ გიგულისხმიათ... გაიგებენ, ვისაც ვგულისხმობ..."**

ჩვენშია, ქართველებში, გვძულს ერთმანეთი. ამ პატარა ქვეყანას ერთმანეთის ლანძღვაგინებით ვერ ავაშენებთ, მეგობრებო.

P.S. ყველა სტატუსი წავიკითხე გულმოდგინედ, ძალაუნებურად ამ სტატუსებზე ლაიქების ავტორებსაც დავაკვირდი და ჩემთვის გასაგებია ყველაფერი. იმედია, ყველა თავის დაწერილზე პასუხისმგებელია, ოღონდ იმას არ ვჭამ, რომ სხვაზე წერდით და ლელა არ გიგულისხმიათ... გაიგებენ, ვისაც ვგულისხმობ..." – წერს „მამულიჩა".

კრიტიკოსებს მოსკოვიდან დაბრუნებული ნინო ჩხეიძეც გამოეხმაურა: „ძალიან მომბეზრდით თქვენი ფსევდო პატრიოტიზმით. საქართველოში ყველა უსაქმური ვითომ პატრიოტი და პოლიტიკოსია. P.S. კითხვა დასვეს რამდენია მანძილი წალვერიდან მოსკოვამდე. წალვერიდან მოსკოვამდე 2 საათია და წყალტუბოდან ლონდონამდე ნამდვილად არ ვიცი". – წერს ნინო ჩხეიძე.

ჩხეიძის მსგავსად, საკუთარი პოზიცია „ფეისბუკზე" ნინი ბადურაშვილმაც დააფიქსირა: „მოსკოვის ცენტრში ქართულმა დიასპორამ გამართა თბილისობის დღესასწაული, სადაც წარმოდგენილი იყო ყოველივე ის, რითაც ვამაყობთ ქართველები: ქართული სამზარეულო, ღვინო და რაც ყველაზე უპირატესია ქართული ფოლკლორი – ჩვენი ცეკვა და სიმღერა! იქ იმყოფებოდა მრავალი ქართველი და ფრიალებდა ქართული დროშები! ჩვენ მოსკოვში ჩასული მომღერლები ბედნიერები ვართ იმით, რომ მოგვეცა შესაძლებლობა ჩვენი სიმღერით სიამოვნება მიგვენიჭებინა სამშობლოს მონატრებულ ქართველებისთვის!!!"

**და მაინც, რა მოხდა მოსკოვურ „თბილისობაზე"?**

**ამის გასარკვევად „ალია" მოსკოვში ღონისძიების ორგანიზატორს, მიხეილ ხუბუტიას დაუკავშირდა:**

**— ბატონო მიშა, ვინ გადაწყვიტა ამ კონცერტის ჩატარება და რატომ მაინცდამაინც 4 ოქტომბერს, როცა თბილისში 25-26 სექტემბერს აღინიშნება „თბილისობა?**

– არ ჰქონდა მნიშვნელობა რიცხვს, მთავარი იყო მისი გაკეთება. ჩვენ სულ ვაკეთებთ ხოლმე მსგავს ღონისძიებებს, თბილისი ჩვენი დედაქალაქია? შევიკრიბეთ ქართველები და გადავწყვიტეთ ამის გაკეთება 4 ოქტომბერს, რადგან ზოგი თვის ბოლოს საქართველოში მოდიოდა, აქ არდადეგები იწყებოდა, ბევრი ქართველი გასული იქნებოდა და თან გვინდოდა საქართველოსთვის გვეჩვენებინა, რომ ჩვენც ქართველები ვართ და შეგვიძლია ასეთი ღონისძიებების გაკეთება საქართველოდან შორს. გვინდოდა, თქვენთან ერთად ვყოფილიყავით.

**— რამდენი მომღერალი გყავდათ მოწვეული და რის მიხედვით შეარჩიეთ სტუმრები?**

– ბევრი არ გვიფიქრია და ვისაც შევთავაზეთ, ისინი ჩამოვიდნენ. რაც შეეხება ლელა წურწუმიას, ის თავის ნათესავებთან ერთად ჩამოდიოდა, ეს დღესასწაული დაემთხვა და რომ გაიგო, მისი მზადება მიმდინარეობდა, გაიგო, რომ 10-15 ათასი ქართველი იქნებოდა, მოვიდა და მოეფერა ქართველებს. რაც შეეხება ნინო ჩხეიძეს, მას კორპორაციული მოწვევები აქვს ხოლმე და ხშირად დადის აქ, ამჯერადაც სიამოვნებით ჩამოვიდა, რადგან ვიზა გახსნილი ჰქონდა. საერთო მეგობრის მეშვეობით დავუკავშირდით და დაგვთანხმდა. სწორედ ჩვენი საერთო ნაცნობის მეშვეობით შემომითვალა, თუ ჰონორარს შევთავაზებდი, ძალიან ეწყინებოდა. ქართველ ხალხს, ახალგაზრდობას ძალიან უყვარს ნინი ბადურაშვილი და მათ მთხოვეს, ნინისთვის გვეთხოვა და დიდი მადლობა მას, რომ დამთანხმდა, გვითხრა, სიამოვნებით ვუმღერებ ქართველებს, თუ იმის საშუალებას მომცემთ, რომ ბილეთი ამიღოთ, არანაირი ჰონორარი არ მინდაო.

**— სად ჩაატარეთ კონცერტი და რამდენ მაყურებელზე იყო გათვლილი?**

– მოსკოვის ცენტრში, ერმიტაჟში, ყველა აფრიალებდა ქართულ დროშას, ზუსტი მონაცემებით 30 000 ადამიანი იყო. ჩემი ინტერესი რაც იყო, ის ნამდვილად შესრულდა, ქართველებმა ძალიან დიდი სიამოვნებაც მიიღეს.

**— მხოლოდ ქართველები იყვნენ თუ რუსებიც?**

– სხვათა შორის, არც ერთი პოლიტიკოსი არ ყოფილა, ეს შეგნებულად გაკეთდა. ეს იყო სახალხო დღესასწაული და ალბათ, არავის დაუთვლია, ვინ იყო ქართველი და ვინ – არაქართველი, მაგრამ 20 000-მდე ქართველი იყო, დანარჩენი – არაქართველი.

**— რა ღირდა დასწრება? ბილეთები იყიდებოდა, თუ თავისუფალი იყო დასწრება?**

– კარი ყველასთვის ღია იყო, ვისაც სურდა, შემოდიოდა. გვიან ღამემდე გაგრძელდა დღესასწაული და ყველა კმაყოფილი დარჩა.

**— რამდენი ხანი გაგრძელდა, დაგეგმილი როგორ გქონდათ?**

– 11 საათზე დავიწყეთ და ღამის 11-ზე დასრულდა. დაგეგმილი იყო კონცერტები, მოცეკვავეები, მომღერლები, ჩურჩხელები გავაკეთეთ, მე ელარჯი გავაკეთე და გავუმასპინძლდი სტუმრებს.

**— თავად კი უთქვამთ მომღერლებს ჰონორარი არ გვინდაო, მაგრამ თქვენ ხომ არ აპირებდით შეთავაზებას?**

– სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, რომ ბილეთების გარდა არ გაცემულა არანაირი თანხა, არც მოუთხოვიათ, არ გადამიხდია.

**— ბილეთები გასაგებია, სასტუმრო და კვება?**

– ვისაც სასტუმრო სჭირდებოდა, სასტუმრო ვუქირავეთ, ზოგი ნათესავებთან წავიდა. მაგალითად, ლელას აქ ნათესავები დახვდნენ და მათთან დარჩა. ყველა ორგანიზაციას სჭირდება ფული და ცხადია, ეს ფული გვქონდა ამაზე.

**— რა დაჯდა ეს ღონისძიება?**

– სულ 200 000 დოლარამდე, თავისი ორგანიზებით.

**— პირადი ფული გადაიხადეთ თუ სათვისტომოს თანხა იყო?**

– ამას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ბევრი ვართ ერთად და ასეთი თანხები იხარჯება ყოველთვე ამა თუ იმ ღონისძიებაზე.

**— „თბილისობა" მარტო იმისთვის ჩაატარეთ, რომ ქართველები ერთად შეკრებილიყავით, თუ იმის ჩვენებაც გინდოდათ, რომ აი, ნახეთ, ქართველები ჩამოვიდნენ და რუსეთთან არანაირი პრობლემა არ აქვთ?**

– მე მტერი არ მყავს და არც არავინ მიმაჩნია საქართველოს მტრად. მე მინდა მათ ვცე პატივი, ვინც აქ ცხოვრობს. სამწუხაროა, რომ ქართველებს ორ ნაწილად ყოფენ, ეს დაუშვებელია, ქართველი ქართველია. ვიცი, რაც იგულისხმება თქვენს კითხვაში და პირდაპირ გეტყვით, ვაცხადებ სრული კატეგორიულობით, ავანტიურაში არ ჩავერთვები, რაც არ უნდა გამანაწყენონ, ამავე დროს პოლიტიკაში მე ვერასდროს მნახავთ. ტყუილად მაბრალებენ, რომ პოლიტიკური ინტერესები მაქვს, იმის მიუხედავად, რომ მაქვს დიდი კავშირები, არასდროს მოვინდომებ პოლიტიკაში მოსვლას. მე ვარ თავმდაბალი ადამიანი, მე ის უფრო მწყინს, თინა კანდელაკს, ნინი ბადურაშვილს, სოფო ნიჟარაძეს რომ აგინებენ, ანუ მათ, ვინც რაღაცას მიაღწიეს თავის ცხოვრებაში. მომღერლები ერთმანეთს კბენენ, ესაა საწყენი, თორემ მე გინებას შევეჩვიე. ერთადერთი ის მწყინს, რომ ჩემი შვილები კითხულობენ ამას



**„გადახედოს ყველამ თავის ცხოვრებას, ფული რომ ყოფილიყო პრიორიტეტი ჩემი ოჯახისთვის დღეს ყველა ჩემი ბიზნესი არ იქნებოდა გაკოტრებული და დაყადაღებული, არ იქნებოდა 50 უაზრო სისხლის სამართლის საქმეები აღძრული, ზოგ ზოგიერთი ენატლიკინა ჟურნალისტის ოჯახისგან განსხვავებით, რომლებმაც რატომღაც და როგორღაც მოახერხეს ბიზნესების გადარჩენაც, თავიანთი ოჯახის წევრების გადარჩენაც, ცემა ტყეპის შერჩენაც"**

და მათ იციან, ცხოვრებაში არასდროს მომიტყუებია ვინმე. რა თქმა უნდა, არაა სასიხარულო, როცა გაგინებენ, მაგრამ რა ვქნათ...

**— თვის ბოლოს აქ არის დაგეგმილი „თბილისობა", ხომ არ ფიქრობთ რუსეთში მოღვაწე ქართველ მომღერლებთან დალაპარაკებას, რომ „თბილისობაზე" ჩამოვიდნენ და თქვენც ხომ არ აპირებთ ჩამოსვლას?**

– მე აუცილებლად ჩამოვდივარ, მინდა, დავესწრო „თბილისობას" და რა შეცდომებიც გვქონდა, მომავალ წელსაც რომ აქ „თბილისობას" ჩავატარებთ, გამოვასწორებთ. მომღერლებზე თუ გვეტყვიან და მოგვმართავენ თხოვნით, ვინმე ჩავიყვანოთ, დიდი სიამოვნებით გავაკეთებ ამასაც.

**„ალია" დაინტერესდა, ისევ სააკაშვილი და „ნაციონალები" რომ ყოფილიყვნენ, ჩავიდოდნენ მოსკოვში სამღერლად?**

ლელა წურწუმიამ და ნინო ჩხეიძემ ჩემს ზარებს არ უპასუხეს. ნინი ბადურაშვილმა, – „არ მცალია, გადაღება მაქვს"-ო. მოგვიანებით კახა მამულაშვილსაც დავუკავშირდით, რომელმაც გვითხრა: „იმ დღეებში რამდენიმე კორპორაციული კონცერტი იყო მოსკოვში დაგეგმილი და ასე მოხვდა ლელაც ამ კონცერტზე, ისე, რომ მცოდნოდა, მოსკოვის მერიის დაფინანსებით კეთდებოდა, თავს შევიკავებდი, გინდ „ნაცები" ყოფილიყვნენ, გინდ – არა, მაგრამ იქ მივედით ქართველი ემიგრანტებისთვის".

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შსს-მ ყაჩაღობის ფაქტი გახსნა



შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით, 1979 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი კობა ე. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული 4 პირთან ერთად მიმდინარე წლის 6 ოქტომბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში მოხუცი ცოლ-ქმრის საცხოვრებელ სახლში შეიჭრა, 150 ლარი და მედლები გაიტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა კობა ე. 8 ოქტომბერს ზუგდიდში დააკავეს, მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას კი გატაცებული მედლები ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული აღიარებს დანაშაულს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## „თბილისობის" დღესასწაული 25-26 ოქტომბერს გაიმართება



თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, თბილისობის დღესასწაული 25-26 ოქტომბერს გაიმართება. მისი თქმით:

„წლევანდელი თბილისობა იქნება ყველა ასაკისა და კატეგორიის ადამიანისთვის განკუთვნილი. წელს პირველად შემოგვაქვს ნომინაცია – „თბილისზე მზრუნველი" და დაჯილდოვდებიან ადამიანები, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ დედაქალაქის განვითარებაში. პარალელურად, დასახელდებიან საპატიო თბილისელები. ამაზე მუშაობს სპეციალური კომისია. „თბილისობის" დღესასწაულზე, ტრადიციულად, ჩატარდება ღვინის ფესტივალი. აქვე მინდა დავამატო, რომ წლევანდელ „თბილისობაზე" აქტივობები მთელი ქალაქის მასშტაბით იქნება", – განაცხადა ნარმანიამ. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge




საქართველოს იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, მთავრობას საზღვარგარეთ „ფრონტი“ ისე დაკავებული არ აქვს, როგორც „ნაციონალებს“. ეს ის განცხადებაა, რაზეც ჩვენ უკვე თვეებისა და გნებავთ, მთელი 2 წლის განმავლობაში ვწერთ. მე პირადად მრჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებას აქამდე საგარეო „ფრონტი“ ეკიდა და მას შემდეგ, რაც ნიუ-იორკში ირაკლი ღარიბაშვილს ბინძური პროვოკაცია მოუწყვეს, აზრზე მოვიდა. თეა წულუკიანი ცოტა უფრო შორს მიდის, მისი თქმით და ჩემი გაგებით, „დაკიდების“ პოლიტიკას ბიძინა ივანიშვილმა ჩაუყარა საფუძველი:

„ჩვენი მთავრობა აკეთებს ძალიან ბევრ კარგ საქმეს და არ აქვს უნარი, მიაწოდოს საზოგადოებას, ეს არის ყველაზე დიდი ხარვეზი და ვიტყოდი – შეცდომაც. თუმცა, ალბათ, ეს ილეთ დავინიშნე, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში იყო უსაქმურთა თავშესაფარი, სადაც „ნაციონალები“ მხოლოდ ხელფასებს იღებდნენ. ამ დროს ემიგრანტებთან მუშაობის კუთხით არაფერი არ კეთდებოდა. თვე-ნახევრის წინ ამ სამინისტროს ხელმძღვანელად დაინიშნა გელა დუმბაძე, რომელსაც საკმაოდ საინტერესო პროექტები აქვს. ის გახლავთ პროფესიონალი დიპლომატი და კარგად იცის, სად რა უნდა გავაკეთოთ. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ პროგრამა არსებობს. ორშაბათიდან თბილისში იწყება „დიასპორის“ კვირეული. აქ წინა პლანზე წამოწეული იქნება ეკონომიკური საკითხები, კულტურის საკითხები და ასე შემდეგ. თუ ეს პროექტები განხორციელდა, საქართველოსთვის მომგებიანი იქნება არა მხოლოდ პოლიტიკური, ეკონომიკური კუთხითაც.

**— სანდრო, 2012 წლის არჩევნების** ჰგონია, რომ ქართველები უცხოეთში მხოლოდ შავი საქმეებით არიან დაკავებულები. არადა, ჩვენ გვყავს ძალიან ბევრი წარმატებული ადამიანი. ამ ადამიანების პოტენციალის არგამოყენება არის დანაშაული. მე ახლა თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ ყველა ჩვენს თანამემამულეს, ვინც დაინტერესებულია, რომ ჩაერთოს საქართველოსთვის სასიკეთო საქმეების კეთებაში, ნებისმიერ დროს შეუძლიათ, დამიკავშირდნენ პირადად ტელეფონის ნომერზე: 599 42-57-42. ყველა საკითხი, რომელსაც ისინი დასვამენ, თუ ლოგიკური და რეალური იქნება, განიხილება და გადაწყდება დადებითად.

**— იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი ახლა მოვიდა აზრზე და აცხადებს, საზღვარგარეთ „ფრონტი“ ისე არ გვაქვს დაკავებული, როგორც „ნაციონალებსო“. იცი, ემიგრანტები რას ამბობენ? 2016 წლის არჩევნები ახ-**

# რას ჰპირდება ხელისუფლება ქართულ ემიგრაციას?

ჩვენი მთავრობის სტილთანაც არის დაკავშირებული, რომელსაც ბატონმა ბიძინამ ჩაუყარა საფუძველი. ის სულ გვეუბნებოდა, რომ მთავარია საქმე და არ დაგავიწყდეთ, რომ „ნაციონალები“ საქმეს არ აკეთებდნენ, იმაზე მეტს ლაპარაკობდნენ იმ საქმეზე, რაც არ გაუკეთებიათო. ეს სწორია, მაგრამ ეხლა საქმეს ვაკეთებთ და ლაპარაკიც ამ საქმის შესახებ არ დაგვაზიანებდა. ჩვენ საზღვარგარეთ „ფრონტი“ ისე დაკავებული არ გვაქვს, როგორც „ნაციონალებს“ ჰქონდათ ან ამჟამადაც აქვთ. ეს აუცილებლად უნდა გამოსწორდეს, ამაზე ყველა მინისტრი და მთავრობა მუშაობს, პრემიერიც, პარლამენტიც, მაგრამ უფრო მეტია საჭირო“.

ქალბატონი თეა წულუკიანი ამბობს, მთელი ხელისუფლება ამ საკითხზე მუშაობს, დიდი და პატარა, ქალი და კაცი ფეხზე დგას, მაგრამ ეს საკმარისი არ არისო. მაინც, რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რომ საგარეო „ფრონტზე“ სიტუაცია გამოსწორდეს?

**ამაზე „ალიას“ დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, სანდრო ბრეგაძე ესაუბრება:**

– სამინისტრო, სადაც მე მოადგ-

**პერიოდში ძალიან კარგად იმუშავა ჩვენმა დიასპორამ უცხოეთში, მაგალითად, ამერიკაში და მოიგო „ქართულმა ოცნებამ“. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები გიორგი მარგველაშვილმა იგივე ამერიკაში წააგო 300 ხმით. როგორც თავად ემიგრანტები ამბობენ, ისინი კოალიციამ გამოიყენა და მერე „დაიკიდა“, საპრეზიდენტო არჩევნებშიც კი აღარავის გახსენებია. საერთოდ, უპატრონო ეკლესიას რომ ეშმაკები ეპატრონებიან ხოლმე, ეტყობა, თქვენმა ხელისუფლებამ არ იცის და ამიტომაც დაეპატრონა ამერიკაში ქართულ დიასპორას სააკაშვილის ბიძა, თემურ ალასანია. მისი მარჯვენა ხელი პაატა აბჟანდაძე აცხადებს, ჩვენ ირაკლი ღარიბაშვილის ლანძღვას არ ვაპირებდით, პირველად გინება მისი დაცვის წევრებმა დაგვიწყეს, ეს გადაღებული მაქვს და დავდებო. მაგას რამე რომ ჰქონოდა, აქამდე დადებდა, მაგრამ მაინცდამაინც ინციდენტები უნდა მოხდეს, რომ ხელისუფლებამ ყურები გამოიბერტყოს?**

– ეს სასაცილოა, ეს არის ავადმყოფური ფანტაზიის შედეგი, ღარიბაშვილის დაცვა გავარდა და პაატა აბჟანდაძეს ეგრევე გინება დაუწყო? თუ რამე აქვთ გადაღებული, მაშინ გამოაქვეყნონ. ჩვენ გვეყოლება საკმაოდ ძლიერი ლობი არა მხოლოდ ამერიკაში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. დღეს რატომღაც ყველას **ლოვდება და ხელისუფლებას ნელ-ნელა ვახსენდებითო.**

– ასე რომ არ იფიქრონ, ამიტომ საჭიროა ჩვენს ემიგრანტებს შევთავაზოთ გრძელვადიანი პროგრამები. არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაიჭრას ის ფესვები, რომელიც მათ საკუთარ ქვეყანასთან აკავშირებს. მოდი, პირდაპირ ვთქვათ, დღეს ჩვენი მეზობელი სომხეთი ძირითადად დგას თავის დიასპორასთან მუშაობის შედეგებზე. მაგალითად, აზერბაიჯანში დიასპორის სამინისტროს დაფინანსება ხუთასჯერ მეტია, ვიდრე ჩვენთან.

**— თქვენი სამინისტროს ბიუჯეტი რამდენია?**

– ჩვენი არის მილიონი ლარი, აზერბაიჯანის არის ნახევარი მილიარდი დოლარი.

**— მილიონ ლარად რა უნდა გააკეთოთ, ეგ ხომ მივლინებებში არ გეყოფათ?**

– რა თქმა უნდა, ამ საქმისთვის უფრო მეტია საჭირო, მაგრამ ამ ფულითაც შეიძლება სერიოზული რაღაცების კეთება. აქ არ არის ლაპარაკი მივლინებებზე და უცხოეთის ქვეყნებში სეირნობაზე, როგორც ამას აკეთებდნენ სააკაშვილის ბანდის წევრები. ემიგრანტებმა უნდა იცოდნენ, რომ საქართველოში არსებობს სეგმენტი, რომელიც არის მათი. უნდა დავიწყოთ წმინდა ადამიანური ურთიერთობებით და გადავიდეთ საქმიან ურთიერთობებზე. აი, ეს არის ჩვენი ამოცანა. პირდაპირ გეტყვი: ამ სამინისტროს თანამშრომლები დადიოდნენ სინგაპურში, ბრაზილიაში და ასეთი ტიპის ქვეყნებში, სადაც ქართული დიასპორები პრაქტიკულად არ არსებობს. ჩვენთვის ძირითადი სამუშაო არის თურქეთში, იქ არის საკმაოდ სერიოზული და საინტერესო დიასპორა, თანაც ეკონომიურად ძლიერი. ასევე, საბერძნეთში, აზერბაიჯანში ინგილოებთან არის საჭირო ურთიერთობის გაბმა. რა თქმა უნდა. ამ კუთხით უნდა ვიმუშაოთ ევროპასა და ამერიკაში.

**— სანდრო, „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდში იყო ასეთი პროგრამა, თუ არ ვცდები, ევროკავშირის დაფინანსებით უნდა დაწყებულიყო, ვინც საქართველოში დაბრუნდებოდა, უნდა მიეცათ 2 ათასი ევრო. ძალიან ბევრს დაჰპირდნენ, მაგალითად, საბერძნეთიდან ადამიანები დაბრუნდნენ, საბუთებიც მიატანინეს თქვენს სამინისტროში, მაგრამ არაფერი. ამის შესახებ რამე იცი?**

– მაგ საკითხით დავინტერესდები, სააკაშვილის დროინდელ სამინისტროში რა პროგრამა ჰქონდათ, ამ ეტაპზე ვერაფერს ვიტყვი. სააკაშვილმა ისიც კი იკადრა, ამერიკაში ჩავიდა, ემიგრანტებს შეხვდა და უთხრა, ვინც საქართველოში დაბრუნდება, იგივე ხელფასს შევუნარჩუნებთ, რაც ამერიკაში აქვთო. ამაზე დიდი სისულელე ჯერ არავის უთქვამს მსოფლიოში. ჩემმა რამდენიმე ნაცნობმა ეს დაიჯერა, ჩამოვიდნენ საქართველოში და დღესაც უმუშევრები არიან. რაც შეეხება თეა წულუკიანის განცხადებას, სამწუხაროდ, „ნაციონალები“ არა მხოლოდ საგარეო „ფრონტს“ ფლობენ, არამედ აქტიურობენ საშინაო „ფრონტზეც“ – გიგა ბოკერია უკვე გვევლინება „რუსთავი 2“-ის მთავარ რეჟისორად, ხოლო ნადირაშვილები და ხაბაზები არიან მისი ასისტენტები. დღეს ჩვენ სატელევიზიო სივრცეში გვაქვს ტრაგიკული სიტუაცია, ხელისუფლებას არ აქვს არც ერთი არხი და არც უნდა ჰქონდეს, მაგრამ პარადოქსია, რომ „ნაცმოძრაობას“ აქვს რამდენიმე არხი. ეს არის არანორმალური სიტუაცია. დღეს ჩვენი ზოგიერთი ევროპელი მეგობარი როცა დამოუკიდებელ მედიაზე საუბრობს, აქვე ახსენებს სააკაშვილის ჯიბის ტელევიზიას...

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პროკურატურა გურამ ცეცხლაძის განთავისუფლების მიზეზებს განმარტავს



მთავარი პროკურატურა დიდი ოდენობით თხევადი ჰეროინის გადატანის საქმეზე დაკავებული მძღოლის პატიმრობიდან განთავისუფლებასთან დაკავშირებით განცხადებას აკეთებს.

„ორგანიზებული ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვისა და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენისა და შენახვის ფაქტზე დაკავებული გურამ ცეცხლაძის მიმართ პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტა და პატიმრობიდან გაათავისუფლა.

გამოძიებით დადგინდა, რომ გურამ ცეცხლაძემ 2014 წლის 3 ივლისს ბაირამ ჩოშქუნისგან მიიღო შემოთავაზება ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებით. კერძოდ, მას სატვირთო მანქანით, რომელსაც თავად მართავდა, ბათუმიდან მოლდოვას რესპუბლიკაში 600 ბიდონი თხევადი საპონი უნდა გადაეტანა, რის შემდეგაც შესაბამის ანაზღაურებას მიიღებდა.

საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ გამოძიებამ დაადგინა, რომ გ. ცეცხლაძემ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ მისი მართვის ქვეშ მყოფ ა/მანქანაში ჩატვირთული ტვირთი შეიცავდა ნარკოტიკულ საშუალებას. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## ბუჩუაძის მკვლელობაში ბრალდებული აღმკვეთი ღონისძიების შეცვლას ითხოვს



21 წლის ახალგაზრდის მკვლელობის ბრალდებით დაკავებული ყოფილი სამართალდამცველი აღმკვეთი ღონისძიების შეცვლას ითხოვს. აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადება ლაშა ჯიხვაშვილის ადვოკატმა გააკეთა.

თემურ მესხმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. მესხი სააპელაციო სასამართლოსგან ჯიხვაშვილის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შესახებ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას და მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის გირაოს შეფარდებას მოითხოვს.

მიიღებს თუ არა წარმოებაში საქმეს სააპელაციო სასამართლო, 3 დღეში გახდება ცნობილი.

შეგახსენებთ, რომ 21 წლის მირზა ბუჩუაძე თავის არეში მიყენებული ჭრილობით გარდაიცვალა. მან სასიკვდილო ჭრილობა დევნის ოპერაციის დროს მიიღო.

ბუჩუაძის მკვლელობაში ბრალდებული ლაშა ჯიხვაშვილი კი მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ის წინასწარ პატიმრობაში იმყოფება. (ნიუპოსტი)



დონეზე აზროვნება, როცა ისინი მოგების მაქსიმიზაციაზე ფიქრობენ და არ არიან სულელები, რომ თავიანთი კონკურენტები იგივე სამშენებლო ბიზნესში დააფინანსონ, ანუ რა გამოდის? ბიზნესსექტორი მიდის ბანკში და მას უნდა სერიოზული სამშენებლო პროექტის განხორციელება და მას ბანკი, ცხადია, უარს ეტყვის, რადგანაც ბანკს თვითონ აქვს სამშენებლო ბიზნესი და რა გონიერებაა, რომ კონკურენტი აფინანსოს? ამიტომ ბანკები მხოლოდ კლასიკური საბანკო საქმიანობით უნდა იყვნენ დაკავებულები, მათ ფული უნდა იშოვონ მხოლოდ ფულით და საერთოდ უნდა აეკრძალოთ რაიმე აქტივის ფლობა, საინვესტიციო საქმიანობისთვის უნდა შეიქმნას ცალკე საინვესტიციო ბანკები და მათ საშუალება ექნებათ, ითამაშონ ცია ცნობილია. ამიტომ უფლებამოსილ სამსახურებს არ გაუჭირდებათ შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება და სასამართლოს გზით შემდგომში მათ ეს ყველაფერი უნდა აეკრძალოთ. არსებობს წმინდა ოფიციალური ბუღალტერია და ირიბი მტკიცებულებებიც. მაგალითად: დღეს ნავთობპროდუქტების ბაზარი კარტელური გარიგებებით იხრჩობა, არსად ოქმი არაა, ოფიციალურად მათ ვერ დაუმტკიცებთ, რომ შეთანხმებას მიაღწიეს, რადგანაც არსად არაფერი რეგისტრირდება, მაგრამ ირიბი მტკიცებულებები უნდა იყოს კანონში უფლებამოსილ ორგანოზე მინიჭებული და ეს უნდა იძლეოდეს საშუალებას, სასამართლოს ძალით დაშლილი იქნას ეს კარტელური გარიგებები და მონოპოლიები და ამას ხელისუფლება ჯერ არ აკეთებს და ამიტომაც ძლება, გახდეს ერთ-ერთი სტრუქტურა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. საერთოდ, დღეს ეს ბანკი რომ სწორ რეგულაციებს აკეთებდეს, 2014 წელს საშუალო საკრედიტო განაკვეთი 18% არ იქნებოდა კერძო სექტორში. ესაა გამანადგურებელი პროცენტი და ამიტომ ვერანაირი ლეგალური ბიზნესი ვერ განვითარდება. დღეს ეროვნული ბანკი დამორჩილებული ჰყავს კომერციულ ბანკებს და ამას კი ეს ხელისუფლებაც უჭერს მხარს და გვაქვს დანგრეული ეკონომიკა. ამიტომ ამისი კონტროლის მექანიზმი არის სახელმწიფო, ასევე პარლამენტი, რომლის წინაშეც ანგარიშვალდებულია ეროვნული ბანკიც და მთავრობაც, მაგრამ პარლამენტი დღეს არის უსუსტესი, უსუსური, საერთოდ დისტანცირებულია და

# დემურ გიორხელიძე: „პარლამენტმა თავი და ერთი ადგილიც გაანძრიოს, ეყოთ თავის კეთილდღეობაზე ზრუნვა, დროა, სახელმწიფო საქმეებსაც მიხედონ“

8 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ განაცხადა, რომ ოქტომბრის ბოლოდან, კომერციულ ბანკებს არაპროფილური აქტივების ფლობა შესაძლოა, აეკრძალოთ. ამ ინიციატივას დადებითად აფასებს ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე. „რაც უფრო სწრაფად გააკეთებს ეროვნული ბანკი სადაზღვევო, სამშენებლო, რესტორნის და ასე შემდეგ საქმიანობაში აკრძალვას და გააკონტროლებს, რომ ირიბად არ მოხდეს საბანკო სტრუქტურების ფარულად მონაწილეობა ბიზნესში, მით უკეთესი იქნება“.

**„ალიას“ დემურ გიორხელიძე ესაუბრა:**

– საბაზრო ეკონომიკა არ მოიაზრება კონკურენციისა და თამაშის წესების გარეშე, სადაც ხელისუფლება ცივილიზებული რეგულაციური მექანიზმით აკონტროლებს, რომ არ მოხდეს რაიმე სექტორის მონოპოლიზება, რათა ამან ხელი არ შეუშალოს ახალი ბიზნესჯგუფების წარმოქმნას, ახალი ინიციატივების განვითარებას და ასე შემდეგ. ამ დროს ჩვენ შევქმენით საბანკო სექტორი და ისეთი სიტუაცია, როცა პრივილეგირებული მდგომარეობა შევუქმენით ბანკებს და მათ მიეცათ საშუალება, რომ, ფაქტობრივად, ლარის კურსიც კი განსაზღვრონ. 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში არის პროგნოზი 2019 წლის ჩათვლით და 5,5%-ით ოთხი წლის განმავლობაში ეკონომიკის ზრდა. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ მარტივი კვლავწარმოების დონეზე ვიქნებით და არაფერი არ გაუმჯობესდება, რადგანაც ბიუჯეტი მწირია და შესაბამისად, გვექნება რთული მდგომარეობა. აი, აქ რჩება ერთადერთი გამოსავალი: ახალი ინიციატივები, რაც შეიძლება მაღალი აქტიურობა ადამიანებისა და რაც შეიძლება მეტად განვითარება კერძო სექტორისა, მაგრამ ამას ხელს უშლის საბანკო სექტორი, ანუ უფრო ფართოდ რომ ვთქვა, 2019 წლამდე ფული საშინლად დეფიციტური იქნება საქართველოში

გარდა ამისა, თუ ბანკები ფლობენ სადაზღვევო, სამედიცინო სფეროს, იწყებენ მშენებლობებს, იწყებენ რესტორნისა და ტურიზმის ბიზნესს, ანუ, სადაც კი კარგი თანხები ბრუნავს, გეკითხებით, კერძო სექტორს, საბანკო სტრუქტურას რატომ უნდა მოვთხოვოთ ჩვენ სახელმწიფო ბირჟაზე, მაგრამ არავითარი შეხება არ უნდა ჰქონდეთ სესხების გაცემასთან და ასე შემდეგ. მე არაერთხელ გამიკრიტიკებია ირაკლი ქადაგიძე, მაგრამ ამჯერად მართლა კარგი ინიციატივა აქვს და მხარს ვუჭერს. თორემ ასე საქართველო ყალიბდება ოლიგარქიულ სახელმწიფოდ, სადაც განწირულია ყველაფერი, რაც კი არ არის ხელისუფლებიდან ლობირებული.

**— კარგით, ვთქვათ აიკრძალა, ვინ და როგორ გააკონტროლებს ბანკებს, რომ იგივეს არ გააგრძელებენ ფარულად?**

– ორმაგი კონტროლის მექანიზმია, ეროვნულ ბანკს ისედაც ევალება კომერციული ბანკების კონტროლი, რაც შეეხება ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, იგივე კონკურენციის სამსახურს, რომელიც დასაწყისშივე სულს ღაფავს, მათ ევალებათ მონიტორინგი და ირიბი მტკიცებულებების შეგროვება, რომ არ მოხდეს სადმე ბანკის კაპიტალის გადადინება მათდამი ირიბად დაქვემდებარებულ (სიტყვას ეძებს)...

**— ე.წ. „პასტავნოე ლიცო“-ზე?**

– აბსოლუტურად მართალი ხართ, თბილისი და საქართველო იმდენად პატარაა, რომ ნებისმიერი ინფორმაარის ჩვენი საბაზრო ეკონომიკა ასეთი. იმის თქმა მინდა, რომ, თუ რამე ფარულ გარიგებას მოახდენს ბანკი, ირიბი მტკიცებულებების მოძიება შესაძლებელი იქნება.

**— მაგრამ საქართველოში ხომ მაინც მოსული ამბავია, რომ ამ შემთხვევაში ეროვნულმა ბანკმა ხელი დააფაროს დარღვევებს? თქვენ თავად აცხადებდით, ამხელა პროცენტები იმიტომაა, რომ გარიგებებს აქვს ადგილი ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებს შორისო. კონტროლის სხვა მექანიზმი არ არსებობს, რის გამოც ასეთი ფაქტები არ დაიმალება?**

– მე შენიშვნა მქონდა ეროვნული ბანკის მიმართ, რომ ის, ფაქტობრივად, კომერციულ ბანკებს ემსახურება. ეს ბანკი იმდენად მძლავრი ინსტიტუტია ქვეყანაში, რომ თავისი არა მარტო კანონმდებლობით, მოქალაქეობრივი პოზიციითაც დისტანცირებული უნდა იყოს კერძო ინტერესიდან და სახელმწიფოს ინტერესებში უნდა მოქმედებდეს. როგორც კი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები მიმართული იქნება კერძო ინტერესის დასაცავად, გვექნება ის, რაც უკვე გვაქვს, სრული უპერსპექტივობა და, ჩემი აზრით, ეროვნული ბანკი შეიაკეთებს იმას, რასაც შედეგი არ მოაქვს. ამ დროს ქვეყანაში არის ასევე კონტროლის პალატა და ასევე ბანკებზე ზედამხედველობის სამსახური, ეკონომიკური მაჩვენებლები და, თუ ჩვენ ცუდ მდგომარეობაში ვართ, მაშინ არა მარტო მთავრობაა დამნაშავე, არამედ ეროვნული ბანკიც, ანუ, ყველა ცუდად მუშაობს.

**— თქვენ აკრძალვებზე საუბრობთ და, თუ ბანკი ამხილეს ფარულ საქმიანობაში, სასჯელი რა იქნება ამ შემთხვევაში?**

– ეს უნდა იყოს კანონის ნორმა და სასჯელი მკაცრი უნდა იყოს! თქვენ წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს, როცა კომერციულმა ბანკმა იცის, როგორ ითამაშებს კურსი თვის მანძილზე? ამ დროს იციან და ესაა ეროვნული ბანკის უდიდესი შეცდომა, თორემ ასე უთავბოლოდ ეროვნული ვალუტა არ ითამაშებდა. კანონის ნორმასა და სასჯელს რაც შეეხება, ეს ჯერ არ არის, მაგრამ უნდა ვთხოვოთ პარლამენტს, თავი და ერთი ადგილიც გაანძრიოს, ეყოთ თავის კეთილდღეობაზე ზრუნვა და დროა, სახელმწიფო საქმეებსაც მიხედონ.

**თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თენგიზ ერისთავი საზოგადოებას მიმართავს

ნარკოტიკის შენახვა-შეძენაში ბრალდებული თენგიზ ერისთავი სოციალური ქსელით მიმართვას ავრცელებს:

„მინდა მოგესალმოთ და მადლიერება გამოვხატო იმ სითბოსა და სიყვარულისთვის, რომელიც, კარგად ვიცი, მხოლოდ ჩემი დამსახურება არ არის. ტელეკამერებთან ლაპარაკი დიდად არ მეხერხება. თავს ვალდებულად ვგრძნობ და მინდოდა გუშინვე შეგხმიანებოდით, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ეს ვერ მოვახერხე, რისთვისაც ბოდიშს გიხდით! დიდი მადლობა თითოეულ თქვენგანს, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებისა, ვინც გულწრფელად და უანგაროდ მედგა გვერდით მთელი ამ ხნის განმავლობაში, სჯეროდა ჩემი, მამხნევებდა, ძალას მმატებდა. სამწუხაროდ, ათწლეულების მანძილზე ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესების და განსაკუთრებით, ბოლო 9 წლის რეჟიმის გამო, თითქმის აღარ დარჩა ახალგაზრდა „წარსულის“ გარეშე. ზოგი გარემოების მსხვერპლი გახდა, ბევრიც უდანაშაულოდ აღმოჩნდა საზოგადოებისგან იზოლირებული. ამას თავის სამართლებლად არ მოგახსენებთ, ძალიან ბევრი გააკეთეთ ჩემთვის და პატივისცემის ნიშნად, მეც მინდა უბრალოდ გულახდილი ვიყო. ალბათ, უფრო ასაკის გამო, გაუგებრობებში მოვყოლივარ, მქონდა შეცდომებიც, რომელზეც პასუხი ვაგე, მაგრამ რომელმაც, სამუდამო კვალი დამაჩინა. დაიკარგა უამრავი დრო, თუნდაც შვილებთან ურთიერთობისთვის. დროს უკან ვერ ვერ დააბრუნებ... თვითონ ორი შვილის მამა ვარ და კარგად ვიცი, რა ძნელია ეს ყველაფერი, რამხელა ტკივილია ოჯახისთვის... მეგონა, ყველაფერი უკან დარჩა, რომ არა ეს ინციდენტი. ვფიქრობ, თქვენი თანადგომა ამავდროულად იყო პროტესტი ყოველგვარი ძალადობის, უსამართლობის, უმსგავსობის წინააღმდეგ, რომელსაც ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ვუთხარით უარი. პენიტენციალურმა სისტემამ საშუალება უნდა მისცეს ადამიანს, დაფიქრდეს და აღარ გაუჩნდეს იქ მოხვედრის სურვილი. ინდივიდი პასუხს აგებს საკუთარ დანაშაულზე, მაგრამ არავის აქვს უფლება, სამუდამოდ დაუმახინჯოს და დაუნგრიოს მას ცხოვრება, გაუჩინოს განუკითხაობის განცდა, გააბოროტოს. ამისთვის სამართლიანობა და თანაგრძნობაა საჭირო და არა ნებისმიერი სახის ძალადობა, მით უფრო, ძალადობა უდანაშაულო ადამიანის წინააღმდეგ. მგონი, დადგა დრო, როცა ამაზე საუბრისას, მაპატიეთ და პირუტყვული შიში აღარ გვიპყრობს, როცა ხმამაღლა შეგვიძლია ერთხელ და სამუდამოდ განვაცხადოთ, რომ უარს ვამბობთ არაცივილიზებული მეთოდებით მოქმედებაზე, ძალადობაზე, რომელიც, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ძალადობასვე შობს და ერთსა და იმავე მოჯადოებულ წრეზე სიარულს ჰგავს.



კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მოქალაქეობრივი პოზიციისთვის! ჩემი სასამართლო 29 ოქტომბერსაა დანიშნული, შევეცდები, დავამტკიცო ჩემი უდანაშაულობა და თქვენთან ერთად ვიზრუნო სამართლიანობის აღსადგენად. იმედს ვიტოვებ, რომ დღეს ეს შესაძლებელია, სხვაგვარად არაფერს აქვს აზრი! ულრმესი პატივისცემით – თენგიზ ერისთავი“, – ნათქვამია მიმართვაში.

ერისთავი 17 სექტემბერს სამართალდამცავებმა დააკავეს. მის დაკავებას ოჯახის წევრებისა და საზოგადოების ერთი ნაწილის აღშფოთება მოჰყვა. ერისთავს ბრალად განსაკუთრებით დიდ ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვა ედება. ერისთავი დანაშაულს არ აღიარებს, მისი თქმით, სამართალდამცავებმა მას ნარკოტიკი ჩაუდეს. 7 ოქტომბერს თენგიზ ერისთავს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული წინასწარი პატიმრობა გირაოთი შეეცვალა. (ნიუპოსტი)

# სად შეხვდა გიგა ბოკერია ფარულად „ზონელებს“ და რა სტრატეგიაზე შეთანხმდნენ?



მოძრაობა „თავისუფალი თაობა“ დღეს კონფერენციას მართავს და ისინი უკვე ღიად მათი ბრძოლის უახლოეს ნაბიჯებს, სტრატეგიასა და მიზნებს საჯაროს გახდიან. თუ რა აქციებს გეგმავენ ისინი უახლოეს დღეებში, რატომ დაინტერესდა ევროპის სახალხო პარტია „თავისუფალი თაობისა“ და „თავისუფალი ზონის“ დაპირისპირებით, რამდენად რეალურია ინფორმაცია, რომ ამ დღეებში, ევროპის სახალხო პარტიის ლობირებით ევროპარლამენტში შესაძლოა დახურული საკომიტეტო მოსმენა მოეწყოს „თავისუფალი ზონის“ ვითომდა შევიწროების გამო?

**„თავისუფალი თაობის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ლადო სადღობელაშვილი „ალიას“ კითხვებს უპასუხებს...**

– „თავისუფალი თაობის“ კონფერენციაზე დასწრება თავისუფალია, ელოდებით თუ არა „თავისუფალი ზონის“ მხრიდან რაიმე ტიპის პროვოკაციას და რა კონკრეტულ გეგმებზე გექნებათ საუბარი?

– ნამდვილად არ მქონდა გეგმაში „თავისუფალ ზონასთან“ დაპირისპირება, ამ პრობლემების გამო ამიტომაც გადაიდო ჩვენი კონფერენციის ჩატარება, მას შემდეგ, რაც „თავისუფალმა ზონამ“ უკუაგდო თავისი გეგმები და განაცხადა, რომ ისინი აპირებენ პარკებისა და ეზოების დასუფთავებას, ჩვენ ამ საქმეში ხელს ნამდვილად არ შევუშლით, პირიქით, მივეხმარებით კიდეც. ჩვენი კონფერენცია გაიმართება კინოსახლში, წარვადგენთ ორგანიზაციის დამფუძნებლებს, გამგეობის საბჭოს წევრებს, ვინაიდან ხალხს აინტერესებს, ვინ დგანან ამ ორგანიზაციის სათავეში, ამ ორგანიზაციის დამფუძნებელი ვართ სამი – მე, ანი დარსალია და ვალერი დუმბაძე. ჩვენ გვინდა დავაანონსოთ, რის გაკეთებას ვაპირებთ, უკვე მომზადებული გვაქვს პროექტი – სტუდენტთა დახმარების ფონდი, მივმართავთ ბიზნესმენებს, რომ დაეხმარონ იმ სტუდენტებს, ვისაც სწავლის ფული არ აქვთ. ჩვენ ასევე ვაპირებთ, იუსტიციის მინისტრს თხოვნით მივმართოთ, რეგისტრაციიდან ოფიციალურად მოხსნას „თავისუფალი ზონა“, რადგან ამ ორგანიზაციის ერთ-ერთმა ლიდერმა, გელა ვასაძემ აღიარა, რომ თურმე ეს ორგანიზაცია ფორმალურად ყოფილა არასამთავრობო, სინამდვილეში კი წარმოადგენს „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ კლუბს. რაც შეეხება ჩვენს უმთავრეს მიზანს, ჩვენ გადავდივართ უფრო მსხვილ საქმეზე, რასაც ჰქვია „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ბრძოლის ეტაპი. ჩვენი ლოზუნგია „დიახ, საქართველო „ნაცმოძრაობის“ გარეშე“, ახალი ლოკალური ამოცანაა და გარწმუნებთ, „ნაცბანდას“ გავუშვებთ პოლიტიკურ მოუსავლეთში, რა გზასაც დაადგა „თავისუფალი ზონა“.

**— საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ჟურნალისტი, გიორგი ფოფხაძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე განცხადებას ავრცელებს, ამ დღეებში ევროპის სახალხო პარტიამ ევროპარლამენტში შესაძლოა, დახურული საკომიტეტო მოსმენა მოაწყოს „თავისუფალი ზონის“ ვითომდა შევიწროების გამო.**

– ნამდვილად არ გვეგონა, ესენი ამ დონეზე თუ „განაგლდებოდნენ“, ჩვენ არ გვაქვს იმდენი ფინანსები, რომ ბრიუსელში დავგეგმოთ შეხვედრები, თუმც ვაპირებთ, რომ საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებს შევხვდეთ და მივაწოდოთ ის დოკუმენტური მასალა, რაც ჩვენს ორგანიზაციას მოეპოვება, არსებობს უტყუარი კადრები, რომელიც პროკურატურასაც გადავეცით, საიდანაც კარგად ჩანს, როგორი შეუიარაღებელი მივდივართ მათ ოფისში, ისინი კი გვხვდებიან ხელკეტებით, ვენტილატორებით, იატაკის ჯოხებით, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ჩვენ კი არ დავესხით თავს, არამედ თვითონ დაგვარბიეს. მას შემდეგ, რაც პოლიტიკურად განადგურდა „ნაციონალური მოძრაობის“ ექსტრემისტული ფრთა „თავისუფალი ზონა“, ჩვენზე შურის საძიებლად დაიწყო ცილისმწამებლური კამპანია „ნაციონალური მოძრაობის“ და მისგან კონტროლირებადი საინფორმაციო საშუალებების მხრიდან. ეძებდნენ კომპრომატებს ჩვენ შესახებ, ვერაფერს მიაგნეს და ამიტომ გადაწყვიტეს ცილისწამების გავრცელებით გვავნონ. სიცრუის ტირაჟირების აპოგეა გახლდათ გიორგი გაბუნიას წაყვანილი გადაცემა, რომლის რეჟისორიცაა გიგა ბოკერია, ვერაფერი რომ ვერ მოიფიქრეს, ადგნენ და პენსიონერი სამხედრო, ბატონი ტრისტან წითელაშვილი სტუდენტური მოძრაობის „თავისუფალი თაობის“ ერთ-ერთ ლიდერად დაასახელეს. საერთოდ არ ვიცნობთ ტრისტან წითელაშვილს და მისი აზრები შორს დგას ჩვენი იდეებისგან. სასაცილო და საცოდავი შესახედი ხართ, ბატონო ბოკერია, თქვენ კი, ბატონო გაბუნია, ცალსახად, ჟურნალისტიკის სირცხვილი ბრძანდებით. ალბათ, დადგება დრო, როდესაც თავისუფალი ჟურნალისტები თქვენნაირ ანგაჟირებულ მონებს სანაგვეში მოისვრიან. სად ტრისტან წითელაშვილი და სად „თავისუფალი თაობა“. ახალი „კმარა“, რომელსაც „თავისუფალი ზონა“ ეწოდება, თავიდან ბოლომდე განეიტრალებულია და საშიშროება იმ პროვოკაციებისა, რომლებიც მათ მიერ იყო დაგეგმილი, თავიდანაა აცილებული.

**— უკვე მერამდენედ ახსენეთ, რომ „თავისუფალი ზონა“ განეიტრალებულია, ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?**

– ჩვენი პროტესტის შედეგად „ნაცმოძრაობის“ სატელიტი „თავისუფალი ზონა“ იძულებული გახდა, საქვეყნოდ პირობა დაედო, რომ ის არეულობას აღარ გეგმავს, ეს ყველაფერი კი სწორედ იმ სტრატეგიის შედეგია, რაც ჩვენ ავირჩიეთ და კედელთან მივაყენეთ ექსტრემისტული ბანდა. ის იძულებულია, უარი თქვას თავის რეალურ დანიშნულებაზე. ალბათ, არც ერთ ჭკუათმყოფელს არა აქვს იმის ილუზია, რომ „ზონა“ საქველმოქმედო, ან საგანმანათლებლო მისიით შეიქმნა, ყველამ იცის, რომ ეს გახლავთ „კმარას“ განმეორება ბევრად დახვეწილი ტექნოლოგიებით. ჩვენ არ მივცემთ „თავისუფალ ზონას“ თავის მართლების საშუალებას და საქმის კურსში ჩავაყენებთ საქართველოში ყველა აკრედიტებულ დიპლომატს, ვაჩვენებთ მათ რეალურ სახეს. ახლა გეტყვით ექსკლუზიურ ინფორმაციას, კობა ხაბაზი, „თავისუფალი ზონის“ ერთ-ერთი ლიდერი, აპირებს ბრიუსელში გამგზავრებას. ძალიან მაინტერესებს, საიდან აქვს კობა ხაბაზს ევროპაში გასამგზავრებელი ფული, ის არც პარლამენტის დეპუტატია, არც ბიზნესმენია. ვინ აფინანსებს მას. მე ვთხოვ სათანადო უწყებებს, შეისწავლონ, საიდან ფინანსდება „თავისუფალი ზონა“, საიდან აქვთ ამხელა თანხები და გაასაჯაროოს ამ ორგანიზაციამ, ვინ აფინანსებს მათ. სწორედ ეს არის ამ ხელისუფლების ერთ-ერთი მინუსი, რომ ამ „შავი ფულით“ არ ინტერესდება. რამდენიმე ხნის წინ „ზონელი“ ლიდერები „ნაციონალებს“ ჰყავდათ წაყვანილი ერთ-ერთ კურორტზე, სადაც მათ ატრენინგებდნენ, როგორ უნდა ემოქმედათ, რა სტრატეგია უნდა აერჩიათ. ამას ხელმძღვანელობდა გიგა ბოკერია, მათზე იხარჯება უამრავი ფული, კითხვა მაქვს – საიდან? ჩემი ბოლო ინფორმაციით, მათ სტრატეგია შეცვალეს და აგრესიულ ფორმებით ქმედების გაგრძელებას აღარ აპირებენ, იმ შეხვედრაზე საუბარი იყო იმ საკითხზეც, რომ ამ ინციდენტს სათავისოდ გამოიყენებდნენ და ევროპარლამენტის დახურულ სესიაზე მოხდებოდა ამ საკითხის განხილვა, ეს ინფორმაცია ჩვენამდე მოვიდა და გიორგი ფოფხაძესთან გადავამოწმეთ, მან დაგვიდასტურა, რომ ასეთი რამ მართლაც ხდებოდა. მოკლედ, ამ ყველაფრით იმის თქმა მინდა, რომ მათ სერიოზული თანხები აქვთ, ჰყავთ ლობისტები და რეალურად უდანაშაულო ადამიანი, როგორიც არის ზაზა დავითაია, რომელიც უმოწყალოდ სცემეს, გამოჰყავთ დამნაშავე და ახლა ისინი უკვე ევროპელებს აცოდებენ თავს.

**— ინტერვიუს დასაწყისში გკითხეთ, ელოდებით თუ არა „თავისუფალი ზონის“ მხრიდან პროვოკაციას?**

– ჩვენ მათგან ყოველთვის ველით პროვოკაციას, იქნება ფეისკონტროლი, დარბაზში შემოშვება იქნება პირადობის მოწმობებით, თუკი გაბედავენ და პროვოკაციას მოაწყობენ, სათანადო პასუხს მიიღებენ და ეს ნაძირალა „ზონდერები“ კონფერენციას ვერ ჩაგვიშლიან. ჩვენ ვართ სტუდენტები და ძნელია, გამოუცდელობიდან გამომდინარე, ყველა და ყველაფერი გავაკონტროლოთ. თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავს შს სამინისტროს, რომ უზრუნველყოს კინოს სახლში ჩვენი კონფერენციის მშვიდობიანად ჩატარება.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გამგეობის სპეციალისტი ქრთამზე დააკავეს



ხულოს გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, გელა კოჩალიძე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ქრთამის აღების ფაქტზე დააკავა.

გამოძიებით დადგენილია, რომ გელა კოჩალიძემ, ხულოს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილე ერთ-ერთი კომპანიის წარმომადგენლისგან, ქრთამის სახით, 500 ლარი აიღო, სანაცვლოდ კი აღნიშნულ ტენდერში მფარველობას დაჰპირდა.

ბრალდებულმა, კომპანიის წარმომადგენლებს ასევე პირობა მისცა, რომ ტენდერში გამარჯვების შემდეგ, თავად მიიღებდა დაბალი ხარისხის მასალისგან დამზადებულ ავეჯს და მიმღებ კომისიასაც თავად მოაწერინებდა ხელს მიღება-ჩაბარების აქტზე.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების 9 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს. (ნიუპოსტი)

## მცხეთაში ავარიას ოთხი ადამიანი ემსხვერპლა

მცხეთაში, მუხრანის გადასახვევთან ავტოსაგზაო შემთხვევას 4 ადამიანი ემსხვერპლა. შემთხვევა 4 ოქტომბერს მოხდა. მსუბუქი მარკის ავტომობილი სარეკლამო ბილბორდს შეეჯახა.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება, 276-ე მუხლის მეშვიდე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის, უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას ითვალისწინებს, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ბოლო 10 წლის განმავლობაში არ გაკეთებულა ის, რაც ჭიკაიძემ ერთ წელიწადში გააკეთა“



ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, საზღვრის დაცვის პოლიცია მუშაობს ძალიან ეფექტიანად და ბოლო 10 წლის განმავლობაში არ გაკეთებულა ის, რაც მინისტრმა ჭიკაიძემ ერთი წლის განმავლობაში გააკეთა. მისი თქმით:

„მინდა განვმარტო, რომ ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, მიზნად ისახავს ჩვენი მოქალაქეების უკეთ დაცვას, საქართველოში მიგრაციული პროცესების ეფექტურად მართვას. საზღვრის დაცვის პოლიცია მუშაობს ძალიან ეფექტიანად და ბოლო 10 წლის განმავლობაში არ გაკეთებულა ის, რაც მინისტრმა ჭიკაიძემ ერთი წლის განმავლობაში გააკეთა. 11 ახალი სასაზღვრო სექტორი იხსნება მოკლე პერიოდში, მესაზღვრეებს გაეზარდათ ხელფასი, ძალიან ბევრი ეფექტიანი პროექტი განახორციელეს. ეს ყველაფერი შექმნის ძალიან კარგ სურათს, რომ ჩვენი ქვეყნის სანდოობა გაიზარდოს, იყოს მეტი უსაფრთხოება და უფრო დაცული იყონ ჩვენი მოქალაქეები“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. (ინტერპრესნიუსი)

## სოფო შევარდნაძე: „აქ ბევრად უკეთ და გემოვნებით აცვიათ გოგოებს, ვიდრე მოსკოვში“



„სვეტსკაია ლვიცას“ სახელით მოსარგებლე სოფო შევარდნაძე მიიჩნევს, რომ თბილისში ბევრად გემოვნებით აცვიათ, ვიდრე რუსეთის დედაქალაქში.

– აქ ბევრად უკეთ და გემოვნებით აცვიათ გოგოებს, ვიდრე მოსკოვში. ჩაცმით თავის ხასიათს გამოხატავენ, არ კარგავენ ინდივიდუალიზმს, მოსკოვში უფრო ბრენდებზე არიან გაგიჟებულები. ადრე ბევრი ფული ჩანთებსა და „შანელის“ პიჯაკში დამიხარჯავს. ჩაცმას ბევრად მეტ მნიშვნელობას ვანიჭებდი. შემეძლო მთელი ხელფასი ერთ ძვირიან რამეში დამეხარჯა. მაგრამ ეს ყველაზე დიდი სისულელეა. როგორი გავხდი, იცი? რაც ვიზრდები, ცოტა ნივთებს ვყიდულობ. დიდხანს ვირჩევ და ვყიდულობ იმ ფიქრით, რომ ამ ნივთმა დიდხანს გამიძლოს, – აღნიშნა სოფო შევარდნაძემ.

*primetimenews.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## რობერტ სტურუა: „ის კასეტა, ციხეში რომ კაცებს აუპატიურებენ, ევროპის ემისრებს გაუმრავლებიათ და ძილის წინ ტკბებიან“



აღნიშნულის შესახებ, რეჟისორი რობერტ სტურუა სოციალურ ქსელში წერს:

– ამბობენ, ზონელებმა თავისუფლება მხოლოდ ზონელებისთვის მოზონეს, ჩვენ ჭადრაკის ბადრაგებს დაგვიყენებენ ციხეში და უკვე გაზრდილი ოსტატობით ყოველდღე გვიხმარენ და გვირტყამენ... ევროკავშირის მექრთამეები კი ამ პროექტს დააფინანსებენ... ცნობილი მოჭადრაკე ინკოგნიტოდ ჩასულა ან სტრასბურგში, ან სადღაც (პარიზში ბინა აქვსო) და გრანტები წამოიღო – გვჩაგრავენო! ვიდეომასალა უჩვენებია: „ოცნება“ აგინებს, „ნაცები“ კი პატიოსნად მღერიან „მიშა ვენახო“-ს. და ის კასეტაა, ციხეში რომ კაცებს აუპატიურებენ, ევროპის ემისრებს გაუმრავლებიათ და ღამე, ძილის წინ ტკბებიან იმ კადრებით. ერთი სექს-კოპიო, გრანტებთან ერთად, ზონელი ბიჭებისთვის გამოატანეს ზონის მთავარ მოჭადრაკეს! ამ-ამ! – წერს სტურუა „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

*pia.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## „ოსკარზე“ ნომინირებულმა – „მანდარინებმა“ საფრანგეთში გრან-პრი აიღო

რეჟისორ ზაზა ურუშაძის ფილმმა „მანდარინები“ საფრანგეთის საერთაშორისო ფესტივალზე War On Screen მთავარი პრიზი მიიღო. კინოფესტივალი სპეციალურად ომის თემას ეძღვნებოდა.

ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე ირანელი მოჰსენ მახმალბაფი იყო. ფილმი ჟიურისა და მაყურებლის რჩეული გახდა. ფილმ „მანდარინებისთვის“ ეს მე-19 პრიზია.

შეგახსენებთ, რომ „მანდარინები“ პირველი ქართულ-ესტონური თანამშრომლობით შექმნილი ფილმია, რომელიც ცოტა ხნის წინ „ოსკარზე“ წარადგინეს, ნომინაციაში „საუკეთესო უცხოური ფილმი“.

*primetimenews.ge*




საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## „ნანუკა ჟორჟოლიანი და ნინი ქარსელაძე ერთმანეთს ფიზიკურადაც შეეხნენ“



ვარსკვლავები ხშირად უპირისპირდებიან ერთმანეთს. უცხოელებისგან განსხვავებით, ქართველი ცნობილები არ ცდილობენ ერთმანეთს საქმით აჯობონ.

ისინი ძირითადად პირადი ცხოვრების დეტალების გამომზეურებით, პოლიტიკური ნიშნით უპირისპირდებიან ერთმანეთს და ამაზე საჯარო სივრცეში წერენ. „ამბები.გე“ ცნობილი ქართველების შესახებ წერს, რომლებიც ერთმანეთს ღიად დაუპირისპირდნენ.

გამოცემის ინფორმაციით, ერთ-ერთი გაუხმაურებელი სკანდალი ტელეწამყვან ნანუკა ჟორჟოლიანისა და მომღერალ ნინი ქარსელაძის დაპირისპირება იყო.

„ნანუკა ჟორჟოლიანი და ნინი ქარსელაძე ერთმანეთს გასულ წელს ბათუმში დაუპირისპირდნენ. ამბობენ, რომ ისინი ერთმანეთს ფიზიკურადაც შეეხნენ და საქმეში პოლიცია ჩაერთო, მაგრამ მომხდარზე არც ერთი მხარე არ საუბრობს“, – წერს გამოცემა.

შეგახსენებთ, ბათუმის რადისონის „ლაუნჯ ბარში“ 2013 წლის ივლისში ჩხუბის გამო ტელეწამყვანი ნანუკა ჟორჟოლიანი და მუსიკოსი ნინი ქარსელაძე დაკითხეს. დაპირისპირება დავით ევგენიძის საღამოს დასრულების შემდეგ მოხდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ნინიმ ნანუკას მამამისის საქმის გამო უსაყვედურა, რასაც მოგვიანებით შეხლა-შემოხლა მოჰყვა. თავად მომღერალი დაპირისპირების შესახებ ინფორმაციას უარყოფს, ნანუკა ჟორჟოლიანი „პრაიმტაიმთან“ აცხადებდა, რომ დაკითხვაზე რესტორანში ბიჭებს შორის მომხდარი ჩხუბის გამო იმყოფებოდა. დავით ევგენიძის მეუღლის, ნინო ჟვანიას განცხადებით კი, მათ ნანუკასა და ნინის შორის დაპირისპირებაზე საღამოს დასრულების შემდეგ სასტუმროში შეიტყვეს.

*ambebi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ვინ უყიდა მანქანა შორენა ბეგაშვილს



მსახიობი და ტელეწამყვანი შორენა ბეგაშვილი მანქანით დაასაჩუქრეს. ამის შესახებ ბეგაშვილი სოციალური ქსელის მეშვეობით წერს:

– მადლობა „ჯი-თი მოტორსს“ ამ საჩუქრისთვის. ბრწყინვალედ დავიწყეთ თანამშრომლობა. მადლობა, – წერს „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ბეგაშვილი და მანქანის ფოტოს აქვეყნებს.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## მანჩო გიორგობიანი: „როდემდე ვუყუროთ მაია ასათიანის სატელევიზიო ბორდელს“



მანჩო გიორგობიანი „ფეისბუკზე“ ტელეწამყვან მაია ასათიანს აკრიტიკებს და მას „უწიგნურსა“ და „უვიცს“ უწოდებს.

– მაია ასათიანი რომ უვიცი და უწიგნურია, დიდი ხანია ვიცით, მაგრამ როდემდე უყუროს საზოგადოებამ ამ სატელევიზიო ბორდელს?!

გუშინ, ფბ-ს შფოთვის ფონზე, შევიხედე გადაცემაში, ვერ ვიცანი ვერავინ, ვიღაც მისნაირი უვიცები ბოდავდნენ სისულელეებს – „გენდერი“ „ქალის ჩაგვრა გვახასიათებს ქართველებს“... „საშინელი ტრადიციები, წესჩვეულებები“... ვინ იყვნენ ეს უჯიშოები და უთვისტომოები?! რა ოჯახებში გაიზარდნენ?! სად მიიღეს განათლება?!

რას ბოდავთ... რეებს როშავთ.. რაის ქალი არ ფასდებოდაო საქართველოში?! რაის კაცი არ აღიარებდაოოო?!

კატო მიქელაძის, ელენე დარიანის, ელიჩკა ახვლედიანის ქვეყანაში, ქართველი ქალი „უუფლებო“ და „დაჩაგრული“ იყო?!

ვინ მოგცათ საქართველოს დაკნინების უფლება, ამებებს?! ვის დაკვეთას ასრულებთ მიზანმიმართულად, კიკუებო?!

ამდენი „პრადვინუტი“ ბნელი და წერა-კითხვის უცოდინარი, სად შეიყარეთ... სად გაიზარდეთ, ასეთ წკვარამში... საიდან აღმოცენდით შხამიანი სოკოებივით?! – წერს „ფეისბუკზე“ მანჩო გიორგობიანი.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## კესარია აბრამიძეს სექსის თამაში გაუჭირდა

ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ კესარია აბრამიძეს სერიალში იღებენ. „ფსიქოპატთა თამაშები“ – ასე ჰქვია სერიალს, რომელსაც რეჟისორი ოთარ შამათავა იღებს და რომელსაც უახლოეს მომავალში „იმედზე“ ვიხილავთ.

კესარიას თქმით, მისი გმირი სექსუალური და საინტერესო ქალია. გადაღებები ინტენსიურად მიმდინარეობს.

როგორც სოციალური ქსელიდან ცნობილი გახდა, სერიალის მოყვარულები „ფსიქოპატთა თამაშებში“ ეროტიკულ სცენებსაც იხილავენ.

– სექსის სცენა ასეთი რთული სამუშაო თუ იქნებოდა, არ მეგონა, არადა ყველაზე მეტად მეიოლებოდა. სექსის სცენას ძალიან დიდხანს ვიღებდით, თითქმის დილიდან საღამომდე. თავიდან ძალიან ადვილი მეჩვენებოდა, მაგრამ კამერების წინ ცოტა რთული აღმოჩნდა. ეროტიკული ფილმი არ არის, სულ სხვა დატვირთვა აქვს, – წერს კესარია საკუთარ „ფეისბუკზე“ და სერიალში ნათამაშებ სექსის ამსახველ ფოტოსაც აქვეყნებს.

*reitingi.ge*



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



1. პოეტი ნიკოლოზ ...
2. თბილისის უბანი
3. კომპოზიტორი მიქაელ ...
4. ბრემ სტოკერის ნაწარმოები
5. ქალაქი სომხეთში
6. მხ/ფ „... რაიანის გადასარჩენად“
7. მხატვარი დიეგო ...
8. ქალის პატარა ხელჩანთა
9. ნიდერლანდის დედაქალაქი
10. უმაღლესი სპორტ. მიღწევა
11. მსახიობი ... მერფი
12. დიდი კაშკაშა მეტეორი
13. ხის ბაყაყი
14. ცხვრის ქონი
15. მდიდრული აგარაკი
16. საჭადრაკო ტერმინი
17. პრეზიდენტის ფიცი
18. უსაფუვროდ გამომცხვარი პური
19. ანჩხლი
20. მსახიობი ... დე ფიუნესი
21. ჩუქურთმა
22. ნილოსის რეპტილია
23. საკონდიტრო სანელებელი
24. ხილი
25. საბუხჰალტრო რვეული
26. ბარდი ვლადიმერ ...
27. სოფლის ტრანსპორტი
28. პატარა ტანის ძაღლი
29. ქალღმერთი რომაულ მით-ში
30. „ვეფხისტყაოსანი“ პერსონაჟი
31. მოკრივე ... მარჩიანო
32. გასაღები
33. მეჩეთის კოშკი
34. ბედი
35. ჰორიზონტის მხარე
36. უდაბნო პერუში
37. ცისარტყელას ქალღმერთი
38. მოგებული პარტია ნარდში
39. მკერდის კორექციის მასალა
40. პოლიტიკოსი ინდირა ...
41. ნიავი
42. მხ/ფ „ეშმაკი და ... მცნება“
43. ჯუჯა ჟირაფი
44. დასასვენებელი დაწესებულება
45. დროის უკმარისობა ჭადრაკში
46. „დორიან ... პორტრეტი“
47. მიწის ფართობის ერთეული
48. აზოტმჟავის მარილი
49. ჩირქის გამომწვევი მიკრობი
50. „... რა ჰქმნა?“
51. შენობის მცირე მოდელი
52. ანკესის ნაწილი
53. ხორბლის ჯიში
54. რეჟისორი ... დე ბონტი
55. რუკების კრებული
56. თაღი
57. მსახიობი ... თბილელი
58. მდინარე გერმანიაში
59. ნავსადგური
60. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
61. თეთრგვარდიელი გენერალი
62. ტალახი
63. მსახიობი ... არტმანე
64. მსახიობი ჟერარ ...
65. რეჟისორი ფრანკო ...
66. მზესუმზირის ტკბილეული
67. სახსრების ანთება
68. შინაური ცხოველი
69. მსახიობი ... მარტინი
70. მსახიობი არკადი ...
71. იტალიელი კომპოზიტორი
72. თავის ჩონჩხი
73. ქიმიური ელემენტი
74. ჯუჯა ცხენი
75. მდინარე ჩინეთში
76. ბუდისტი მასწავლებელი
77. 100 კაპიკი
78. დამპყრობელი ... კორტესი
79. ქართ. ანბანის ბოლო ასო
80. რიცხვი ექვსი ნულით
81. ახალი ზელანდიის მკვიდრი
82. მწერალი ... ტვენი
83. ქალაქი მდინარე ვოლგაზე
84. პარაზიტი მცენარე
85. შიიზმის მიმდევარი
86. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი
87. „... იწრთობოდა ფოლადი“
88. მსახიობი ... ფერტი
89. ფოლადის სადნობი ღუმელი
90. მდინარე თბილისში
91. ყველაზე რბილი მინერალი
92. ვერცხლისწყალი
93. ჩინეთის დიდი ...
94. გაფუჭებული კვერცხი
95. ვირას საპირისპირო ბრძანება
96. მსახიობი ... რობერტსი
97. მაგიდის მოძრავი ნაწილი
98. კარგად მოარული ცხენი
99. მსახიობი ბრედ ...
100. ბურუსი
101. მსახიობი შერონ ...
102. ილია ჭავჭავაძის ლექსი
103. სახელმწიფო სამხ. ამერიკაში
104. მომღერალი ბობ ...
105. ჯერ შრომა, ... ხტომა
106. მობილურების ფირმა
107. დიუმა. „... დე მონსორო“
108. მსახიობი ... რაიანი
109. საიუველირო ქვა
110. ქართ. ეპოსის გმირი
111. რაველის პიესა
112. წამწამის ძირის ანთება
113. ბოსტნეული
114. აკაკი წერეთლის ლექსი
115. ჩანჩქერი აშშ-ში
116. კომპოზიტორი ... პაულსი
117. წყალქვეშა ჭურვი
118. სამშენებლო მასალა
119. სტადიონი ერევანში
120. სრული გამარჯვება ძიუდოში
121. შალის საპალტოე ქსოვილი
122. გეომეტრიული ფიგურა
123. საბჭოთა პერიოდის ხუთიანი
124. მსახიობი ... როკი
125. ... მოგივა დავითაო
126. მით. ქალი ჯადოსნ. ხმით
127. სიო
128. ერთგვარი პალმა
129. მსახიობი ... მონტანი
130. ... ჩიბურდანიძე
131. ოპტიკური მოვლენა უდაბნოში
132. მსახიობი ... ჰეპბერნი
133. ლატვიის დედაქალაქი
134. იტალიური ღვეზელი
135. აივენჰოს სატრფო
136. ბულგარელი ნათელმხილველი
137. მომღერალი ... მჟავია
138. ყვავილი
139. დასარტყამი საკრავი
140. კუნძული ინდონეზიაში
141. შტატი აშშ-ში
142. მსახიობი ვივიენ ...
143. ციებცხელება
144. სახის ნაწილი

პასუხები: 1. ბარათაშვილი; 2. სართიჭალა; 3. ტარივერდიევი; 4. „დრაკულა“; 5. არმავირი; 6. რიგითი; 7. ველასკესი; 8. რედიკიული; 9. ამსტერდამი; 10. რეკორდი; 11. ედი; 12. ბოლიდი; 13. ვასაკა; 14. დუმა; 15. ვილა; 16. შამათი; 18. ხმიადი; 19. ავი; 20. ლუი; 21. ორნამენტი; 22. ნიანგი; 23. ვანილი; 24. ჭერამი; 25. დავთარი; 26. ვისოცკი; 27. ურემი; 28. ფინია; 29. იუნონა; 30. თინათინი; 31. როკი; 32. კლიტე; 33. მინარეთი; 34. სვე; 35. დასავლეთი; 36. ნასკა; 37. ირიდა; 38. ოინი; 39. სილიკონი; 40. განდი; 41. სიო; 42. ათი; 43. ოკაპი; 44. სანატორიუმი; 45. ცაიტნოტი; 46. გრეის; 47. აკრი; 48. ნიტრატი; 49. სტაფილოკოკი; 50. იავნანამ; 51. მაკეტი; 52. ტივტივა; 53. იფქლი; 54. იან; 55. ატლასი; 56. არკა; 57. მარინე; 58. რაინი; 59. პორტი; 60. სიასამური; 61. ვრანგელი; 62. ლაფი; 63. ვია; 64. ძეფირელი; 66. ჰალვა; 67. ართრიტი; 68. თხა; 69. სტივ; 70. რაიკინი; 71. როსინი; 72. ქალა; 73. ნატრიუმი; 74. პონი; 75. იანძი; 76. გურუ; 77. მანეთი; 78. ერნან; 79. ჰაე; 80. მილიონი; 81. მაორი; 82. მარკ; 83. სამარა; 84. ტკიპა; 85. შიიტი; 86. სოკრატე; 87. როგორ; 88. კოლინ; 89. მარტენი; 90. მტკვარი; 91. ტალკი; 92. სინდიყი; 93. კედელი; 94. ლაყე; 95. მაინა; 96. ერიკ; 97. უჯრა; 98. იორღა; 99. პიტი; 100. ნისლი; 101. სტოუნი; 102. „ელეგია“; 103. ბრაზილია; 104. მარლი; 105. მერე; 106. „ნოკია“; 107. გრაფინია; 108. მეგ; 109. ქარვა; 110. ამირანი; 111. „ბოლერო“; 112. ჯიბლიბო; 113. კიტრი; 114. „ღამურა“; 115. ნიაგარა; 116. რაიმონდ; 117. ტორპედო; 118. კირი; 119. რაზდანი; 120. იპონი; 121. დრაფი; 122. რომბი; 123. ფრიადი; 124. მარიკა; 125. რაც; 126. სირინოზი; 127. ნიავი; 128. რაფია; 129. ივ; 130. მაია; 131. მირაჟი; 132. ოდრი; 133. რიგა; 134. პიცა; 135. როენა; 136. ვანგა; 137. ანანო; 138. ია; 139. დოლი; 140. იავა; 141. ილინოისი; 142. ლი; 143. მალარია; 144. ყბა. იკითხება: თუთიყუში.



– კოტე, მატრიარქატი რა არის?

– რა არის და – როცა შენი ცოლი კედლისკენ ბრუნდება და ხვრინვას უშვებს, შენ კი აცრემლებული ბავშვებთან ერთად სახლიდან გარბიხარ და მამასთან მიდიხარ!..

*****

– არანაირი ეჭვი აღარ გვაქვს – თქვენ მოგწამლეს!

– ღმერთო! ექიმო! როგორ? რითი?

– არ ინერვიულოთ, ძალიან გთხოვთ! ყველაფერს დავადგენთ... გაკვეთის შემდეგ...

*****

– აგროვებ, აგროვებ „ლამბორჯინის“ და „აიფონის“ შესაძენად და ბრახ! – თავს ვერ იკავებ და შაურმას ყიდულობ...

*****



– რას აკეთებს ეს კაცი ჩვენი საწოლის ქვეშ? – ეკითხება ქმარი ცოლს.

– საწოლქვეშ რას აკეთებს, არ ვიცი, მაგრამ ნეტა განახა, რას აკეთებს საწოლში!!!

*****

ქმარი ცოლს:

– ძვირფასო, გადავწყვიტე, დაგშორდე!

– რატომ, ვინმე უკეთესი იპოვე?

– უკეთესი არა, მაგრამ უფრო იაფი!

*****

„ნაციონალები“ კორუფციის წინააღმდეგ – ეს იგივეა, რაც რუსები არყის წინააღმდეგ, იტალიელები პიცის წინააღმდეგ და ბუზები განავლის წინააღმდეგ!!!

*****

– ძალიან ჩუმი და მოკრძალებული ადამიანი ვარ!

თუ მაწყენინებთ, ჩუმად დაგმარხავთ და მოკრძალებულად აღვნიშნავ.

*****

„მაკდონალდსის“ ყოფილმა მოლარემ მუშაობა აფთიაქში დაიწყო:

– სალარო თავისუფალია! რას შეუკვეთთ?

– ერთი კოლოფი პრეზერვატივი, თუ შეიძლება.

– თან მიგაქვთ თუ აქვე...

*****

პატარა ბავშვი სამაშველო სამსახურში რეკავს:

– ალო, ჩემი სადარბაზოს ლიფტში ვიღაც ბიძია და დეიდა გაიჭედნენ... ხმების მიხედვით, დეიდა დაჭრილი უნდა იყოს...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## კლავდიუსი — რომის 15 იმპერატორიდან ერთადერთი, რომელსაც მხოლოდ ქალები უყვარდა



რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, რომის სენატი უსაზღვროდ უკმაყოფილო იყო და პროტესტსაც გამოთქვამდა, რადგან მიიჩნევდა, რომ ეს იყო სავსებით შეუფერებელი და იმპერატორისთვის უღირსი საქციელი.

იმ დროს, როცა გამონაკლისის გარეშე ყველა მმართველი სიამოვნებით ამყარებდა სექსუალურ კავშირს როგორც ქალებთან, ისე მამაკაცებთან, გარშემო იკრებდა უამრავ საყვარელს, კლავდიუსი მთელი თავისი მმართველობის მანძილზე ერთ მამაკაცსაც კი არ მიჰკარებია!

სწორედ ეს ფაქტი გახდა მისი საწინააღმდეგო პოლიტიკური არგუმენტი და ყველა მაშინდელი მწერალი დასცინოდა იმპერატორს, რადგან მიაჩნდათ, რომ „ვისაც მხოლოდ ქალები უყვარდა, თავადაც ქალი იყო და არა მმართველი“...

**newstube.ru**

## კვება მოთხოვნის შესაბამისად, ბავშვების ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ზრდის



ბევრჯერ უთქვამთ ხოლმე სპეციალისტებს, რომ კვებაზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული და როგორც აღმოჩნდა, ადამიანის ინტელექტუალურ განვითარებაზეც კი ახდენს გავლენას.

ბრიტანელი მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ უმჯობესია, ბავშვები მათი მოთხოვნის შესაბამისად ვკვებოთ, ვიდრე სხვადასხვა გრაფიკის მიხედვით.

– ეს არა მხოლოდ უფრო ფიზიოლოგიურია, არამედ პატარების აიქიუსაც ამაღლებს, – განმარტავენ ბრიტანელი მკვლევარები.

ცნობილია ისიც, რომ მათ 10 ათასზე მეტი ბავშვის მონაცემი შეისწავლეს და დაადგინეს, რომ კვების ხერხები პირდაპირ კავშირშია მოსწავლეების წარმატებულობაზე.

ეს ფაქტორი უმნიშვნელოვანესია იმ შემთხვევაშიც კი, თუკი გამოვრიცხავთ სხვა მახასიათებლებს – ბავშვის ასაკს, მშობლების ჯანმრთელობას, განათლებასა და შემოსავლებს.

მეცნიერები დარწმუნდნენ, რომ კვება მოთხოვნის შესაბამისად ბავშვებს ყველაფერს გაცილებით უკეთ უკმაყოფილებს.

**woman.ru**

## დიაბეტის საწინააღმდეგო პროდუქტები



– მსხალი, ვაშლი და მოცვი – სწორედ ეს პროდუქტები დაიცავენ ადამიანს I ტიპის დიაბეტისგან, – დაასკვნეს მეცნიერებმა 24-წლიანი კვლევის შედეგად.

ამერიკელი ექსპერტების თქმით, ნახსენები ხილისა და ნაყოფის სარგებლობა განპირობებულია ფლავონოიდებზე, ნივთიერებაზე, რომელიც წარმოუდგენლად სასარგებლო თვისებებით გამოირჩევა.

კვლევაში, რომელიც როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთელი 24 წელი გრძელდებოდა, 200 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა.

დასაწყისში დიაბეტი არც ერთ მოხალისეს არ ჰქონია, თუმცა მოგვიანებით დაავადება 12 ათას 600 ადამიანს გამოუვლინდა.



რესპონდენტების რაციონის გაანალიზების შემდეგ, მეცნიერები შემდეგ დასკვნამდე მივიდნენ:

ადამიანები, რომლებიც მოცვის ორ ან მეტ ულუფას იღებდნენ კვირაში, დიაბეტის რისკს 23 პროცენტით ამცირებდნენ. ანალოგიური შედეგის მიღება მოხერხდა ვაშლისა და მსხლის მოყვარულებშიც – პროფილაქტიკური ეფექტის მიღებისთვის კვირაში ხუთი ან მეტი ვაშლის ან მსხლის შეჭმაა აუცილებელი.

კვლევის ავტორები აღნიშნავენ, რომ სასარგებლო თვისებებს უზრუნველყოფს არა მხოლოდ ფლავონოიდები, არამედ უჯრედისიც. ამდენად, ხილის შეცვლა მათ წვენებზე, სასურველ შედეგს არ იძლევა.

**medkarta.com**

## ფეხმძიმეებისთვის ყველაფრის ჭამა შეიძლება



მოგეხსენებათ, ფეხმძიმეები ყოველთვის კვების განსაკუთრებულ რაციონზე გადადიან ხოლმე, რაც ერთი მხრივ, ექიმებისა და მეორე მხრივ, მისი ოჯახის წევრების რჩევა-მოთხოვნებს ეფუძნება. არადა, როცა ქალი ორსულადაა, ზოგჯერ ისეთი კერძი თუ პროდუქტი მოუნდება, შეიძლება ქმარს ტვინში სისხლი ჩაექცეს, თუმცა საყვარელი მეუღლის სურვილის შესრულება მაინც ძალიან სასიამოვნოა.

ნიუკასლის უნივერსიტეტის პროფესორი კლერ კოლინზი ამტკიცებს, რომ ფეხმძიმეებისთვის დაწესებული აკრძალვები სრულიად უსაფუძვლოა და მათ ყოველთვის უნდა მიირთვან ის, რაც მოესურვებათ. კლერ კოლინზი დარწმუნებულია, რომ ე.წ. „მავნე“ პროდუქტები ორსული ქალისთვის უბრალოდ, აუცილებელია.

კერძოდ, საუბარი ეხება ძეხვს, დამარილებულ თევზს, პაშტეტსა და ასე შემდეგ.

კლერ კოლინზი განმარტავს, რომ ჩამოთვლილი პროდუქტების რაციონიდან ამოღებას აუცილებელი მკვებავი ნივთიერებების უკმარისობას გამოიწვევს.

პროფესორი მიიჩნევს, რომ აუცილებელია ფეხმძიმეების კვების რაციონის გადახედვა და მათთვის ადრე აკრძალული პროდუქტების უმრავლესობაზე ტაბუს მოხსნა.

**woman.ru**

## დელფინებისა და ვეშაპების უფლებებს ადამიანებისას გაუთანაბრებენ

– იმდენად ჭკვიანები არიან დელფინები და ვეშაპები, რომ მათთვის სპეციალური კანონის მიღებაა საჭირო, – მიიჩნევენ სპეციალისტები ჰელსინკიდან.



მათი ინიციატივის თანახმად, უნდა მოხდეს აღნიშნული არსებების უფლებების ადამიანების უფლებებთან გათანაბრება.

იდეის ავტორები ამტკიცებენ, რომ დელფინებსა და ვეშაპებს ადამიანებზე არანაკლები ინტელექტუალური შესაძლებლობები აქვთ. მაგალითად, დელფინებს თვითშეცნობის უნარი აქვთ, რაც იმით გამოიხატება, რომ ისინი სარკეში საკუთარ თავს ცნობენ. გარდა ამისა, გლოვობენ გარდაცვლილ ნაშიერებზე, კვებავენ ავადმყოფ „თანამოძმეებს“, ეხმარებიან მეთევზეებს საკვების სანაცვლოდ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

გარდა ამისა, კვლევების დახმარებით დამტკიცდა, რომ ადამიანებზე არანაკლები წარმატებით, დელფინებსაც და ვეშაპებსაც შეუძლიათ მეგობრებისა და მზრუნველების შეცნობა.

– ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ისინი იმსახურებენ, რომ მოვეპყროთ, როგორც პიროვნებებს. პატივი ვცეთ მათ სიცოცხლისა და თავისუფლების უფლებებს, – ამბობენ იდეის ავტორები.

მეცნიერების ინიციატივას უკვე არაერთი პოლიტიკოსიც გამოეხმაურა, თუმცა როდის დაიწყება ახალ კანონებსა და წესებზე მუშაობა, აღარ ზუსტდება.

**inopressa.ru**

## ვეგეტარიანელობა დაავადებათა ნუსხაში ოფიციალურად შეიტანეს



მას შემდეგ, რაც ესპანელმა მშობლებმა, რომლებიც მხოლოდ უმ საკვებს იღებდნენ, კინაღამ ბავშვები დაღუპეს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ვეგეტარიანელობა იმ დაავადებათა ნუსხაში შეიტანა, რომელიც ფსიქიატრის ჩარევას საჭიროებს.

მეცნიერების აზრით, უარის თქმას ხორცზე, რძესა და ცილების სხვა წყაროებზე, ადამიანის საიქიოში გასტუმრება შეუძლია.

სწორედ ამის დასტურია ესპანეთში მომხდარი ინციდენტი, როცა მშობლებმა საკუთარი შვილები მხოლოდ უმ პროდუქტებზე გადაიყვანეს და თხევადი და ცხელი კერძების გარეშე დატოვეს.

სიტუაცია ამ ოჯახში მხოლოდ შესაბამისი სამსახურების ჩარევის შემდეგ გამოსწორდა. ბავშვები უკვე იმდენად მძიმედ იყვნენ, რომ მათ რეანიმაციაც კი დასჭირდათ.

– ეს შემთხვევა მეცნიერებისთვის მაგალითი უნდა გახდეს, – ამბობენ ჯანმოს სპეციალისტები.

**myjane.ru**

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. კლდიაშვილი. „...“ დედინაცვალი
2. კურდღლის ნაშიერი
3. ესპანეთის საფეხბ. კლუბი
4. იაპონური არაყი
5. კენკრა-სანელებელი
6. უკრაინის პარლამენტი
7. იგავი
8. პოეტი ... მუხრან
9. მოგზაური ... თომ
10. ბალანი, ბეწვი
11. ავტო-საგზაო შემთხვევა
12. შინაური ცხოველი
13. ქალი, რომელიც იცინის გოგონა
14. მადონა ფილმში
15. კენკრა
16. სანელებელი
17. მტაცებელი თევზი
18. სურდო
19. ლურჯი ვეშაპის საკვები
20. ტაძარი რაჭაში
21. მსახიობი ... ტაილერი
22. კრების ჩანაწერი
23. დონ კიხოტის ავტორი
24. „დიდოსტატის მარჯვენა“ შორენას მოახლე ქალი
25. ოპერა „... კარლოსი“
26. ლერწმის შაქარი
27. ჯავახიშვილი. „ჯაყოს ...“
28. პოეტი ... ტაბიძე
29. პურის შესაბრაწი ხელსაწყო
30. კილოგრამის მეათასედი
31. ადამიანის უფლებათა დამცველი
32. ეგვიპტის ფარაონი
33. ცრუმორწმუნეობრივი აკრძალვა
34. გემის იატაკი
35. მეამბოხე ... პუგაჩოვი
36. კახური ტკბილი პური
37. კრივის გასამართი არენა
38. ფსიქიატრი ... ზურაბაშვილი
39. სახელმწ. „...“ დივუარი
40. კათოლიკური საგალობელი
41. მსახიობი ... მარსო
42. მხ/ფ „თმახუჭუჭა ...“
43. დაბა ქვემო სვანეთის მხარეში
44. მამათა დიდი მონასტერი
45. მომყოლი (ანატ.)
46. კურორტი ხაშურთან
47. რომის პაპის თავსარქმელი
48. თევზის დიდი გროვა
49. „მაუგლი“ პითონი
50. პრეზიდენტი ... ალიევი
51. სოფოკლეს ტრაგედია
52. მენახირის დიდი ჯოხი
53. შტატი აშშ-ში
54. პოეტი ... ცვეტაევა
55. გედის ყელის მოყვანილობის [illegible]
56. იალქანი
57. ბრინჯაო
58. მომღერალი ... მინოგი
59. მსახიობი ... დეიმონი
60. ძმ. ვაჩოვსკების ფილმი
61. დიდი ნემსი
62. მეტამორფოზის ბოლო სტადია
63. სამხრეთ, ანუ ... ამერიკა
64. მხარე საქართველოში
65. მსახიობი ... დელონი
66. დაბა თიანეთის რაიონში
67. ჯუჯა ჟირაფი
68. მსახიობი ბენ ...
69. ჩრდ. ამერიკული ნიანგი
70. მეკობრე
71. ისტორიული ქალაქი ინდოეთში
72. რეჟისორი ალფონსო ...
73. მსახიობი ... დე ფიუნესი
74. მინაწერი წერილის ბოლოს
75. გულის მთავარი სისხლძარღვი
76. იოჰან ... ბახი
77. ციტრუსი
78. ნორვეგიის დედაქალაქი
79. ყინულის მთა ზღვაში
80. ფერთა სიუხვე
81. მსახიობი გრეგორი ...
82. მარჩიელი
83. ლითონი
84. სიმებიანი ინსტრუმენტი
85. რეჟისორი ... სკოტი
86. კედლის სანათი
87. რუსი პოეტი
88. მღრღნელი ცხოველი
89. რეკორდების წიგნი
90. სასვენი ნიშანი
91. დიდი სამგზავრო ჩანთა
92. ზღაპარი „... მუსიკოსები“
93. ცხენებშებმული ტრამვაი
94. მოსაწევად დახვეული თამბაქო
95. ფასდაკლება
96. უჯრედშორისი სითხე
97. ნიშნავს ქვას
98. მეჭეჭის მოსაწვავი სითხე
99. პირველი სამნიშნა რიცხვი
100. ცივი იარაღი
101. ქალაქი საფრანგეთში
102. მხატვარი ალბრეხტ ...
103. ყურძნის ჯიში
104. რძის პროდუქტი
105. ბავშვის საჭმელი
106. თაღი
107. ნეპალის დედაქალაქი
108. მსახიობი რიჩარდ ...
109. ბოსტნეული
110. დროის საზომი ხელსაწყო
111. რა ეფარება მზეს
112. ბოჭკოვანი მცენარე
113. მომღერალი ... ჯაგერი
114. მსახიობი ... გარბო
115. შუადღის პურის ჭამა
116. ფიალა
117. რეჟისორი ... პარკერი
118. გალაქტიკა ... ნახტომი
119. კატის ნაშიერი
120. მსახიობი ... რივზი
121. ხილის მაგარი გული
122. ძვირფასი ქვების წონის ერთეული
123. პატარა მრგვალი პური
124. მუზეუმი ესპანეთში
125. [illegible]
126. დაბა საქართველოში, სადაც ფუნქციონირებს ობსერვატორია
127. მსახიობი ... ლაღიძე
128. კბილის დამცავი ფენა
129. უნგრელი კომპოზიტორი
130. მოცარტის მოქიშპე კომპოზიტორი
131. ძირმაგარა ცხოველი
132. მსახიობი ... სტრიპი
133. ორსახა ღმერთი
134. კონტინენტი
135. რუსი კომპოზიტორი
136. სანაყი
137. მხ/ფ „... კონგენიალურობა“
138. კომში
139. [illegible]
140. მალამო
141. პატარა ტანის ძაღლი

პასუხები: 1. სამანიშვილის; 2. ბაჭია; 3. „სარაგოსა“; 4. საკე; 5. კოწახური; 6. რადა; 7. არაკი; 8. მაჭავარიანი; 9. სევერინი; 10. თმა; 11. ავარია; 12. თხა; 13. დეა; 14. „ევიტა“; 15. მარწყვი; 16. წიწაკა; 18. რინიტი; 19. პლანქტონი; 20. ნიკორწმინდა; 21. ლივ; 22. ოქმი; 23. სერვანტესი; 24. ვარდისახარი; 25. დონ; 26. საქაროზა; 27. ხიზნები; 28. გალაკტიონ; 29. ტოსტერი; 30. გრამი; 31. ომბუდსმენი; 32. ტუტანხამონი; 33. ტაბუ; 34. გემბანი; 35. ემელიანე; 36. ნაზუქი; 37. რინგი; 38. ავლიპი; 39. კოტ; 40. მესა; 41. მარსელ; 42. სიუ; 43. ლენტეხი; 44. ლავრა; 45. პლაცენტა; 46. სურამი; 47. ტიარა; 48. ზვინი; 49. კაა; 50. ილჰამ; 51. „ანტიგონე“; 52. სახრე; 53. კალიფორნია; 54. მარინა; 55. გერმა; 56. აფრა; 57. რვალი; 58. კაილი; 59. მეთ; 60. „მატრიცა“; 61. მახათი; 62. იმაგო; 63. ლათინური; 64. კახეთი; 65. ალენ; 66. სიონი; 67. ოკაპი; 68. აფლეკი; 69. ალიგატორი; 70. პირატი; 71. გოა; 72. არაუ; 73. ლუი; 74. პოსტსკრიპტუმი; 75. აორტა; 76. სებასტიან; 77. ფორთოხალი; 78. ოსლო; 79. აისბერგი; 80. გამა; 81. პეკი; 82. მკითხავი; 83. ნიკელი; 84. გიტარა; 85. რიდლი; 86. ბრა; 87. ბლოკი; 88. თაგვი; 89. გინესი; 90. ტირე; 91. ბაული; 92. ბრემენელი; 93. კონკა; 94. სიგარა; 95. სეილი; 96. ლიმფა; 97. ლითი; 98. ლაპისი; 99. ასი; 100. ხმალი; 101. სევრი; 102. დიურერი; 103. პინო; 104. ყველი; 105. ფაფა; 106. არკა; 107. კატმანდუ; 108. გირი; 109. კომბოსტო; 110. საათი; 111. ღრუბელი; 112. სელი; 113. მიკ; 114. გრეტა; 115. სადილი; 116. ჯამი; 117. ალან; 118. ირმის; 119. კნუტი; 120. კიანუ; 121. კურკა; 122. კარატი; 123. კვერი; 124. პრადო; 125. არა; 126. აბასთუმანი; 127. სოსო; 128. ემალი; 129. ლისტი; 130. სალიერი; 132. მერილ; 133. იანუსი; 134. აზია; 135. ბოროდინი; 136. როდინი; 137. მის; 138. ბია; 139. ტორტილა; 140. სალბუნი; 141. ფინია. იკითხება: შერონ სტოუნი.

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

# კობა ხომასურიძე

ყოველ ჩვენგანს, ჩვენს ერს მრავალი მწუხარება და ვარამი გადაუტანია, უთვალავჯერ ატირებულა ქართველი დედა, უთვალავჯერ ჩაუცვამს ძაძები. უთვალავჯერ გაუგონია გამვლელს ამა თუ იმ სახლიდან მოთქმა...

იმ ქვეყნად წავიდნენ ქვეყნის სასიქადულო შვილები, თავისი ერის, სამშობლოს, მშობლის, შვილის, მოყვარის მოყვარული ადამიანები, რომლებსაც მთელი საქართველო აუტირებია.

სულით ვაჟკაცმა, სულით თბილმა და მომფერებელმა, სიკეთის კეთებაში ყველასთან მოპაექრემ, მოუსვენარმა, დაუღალავმა ჩვენმა კობამ აგვატირე ყოველი ჩვენგანი, კაცი თუ ქალი. მახსოვს, როგორი ცხარე ცრემლებით ტიროდნენ კავთისხევის რჩეული ვაჟები კობას დაკარგვას.

კობა, ჩვენო კარგო, რომ იცოდე რარიგ გვენატრები ყოველ ჩვენგანს. რარიგ სჭირდები შენს ოჯახს, კავთისხევს, ჩვენს სამშობლოს! უშენობამ თითქოს სუნთქვა გააძნელა, თითქოს დღის შუქს ნათება დააკლო, როგორ იკლო ცაში ვარსკვლავებმა, თითქოს შენს ეზოში ყვავილებმა მოიწყინეს... რამდენი ჩანაფიქრი შეეცვალა შენს ძმას, გურამს, როგორ შეეგუა ეთერი თალხს, როგორი უენო გახადა ვერიკო, როგორი ფრთამოტეხილნი არიან შენი ულამაზესი ეთიკო და სანაქებო ბექა.

და მაინც, შენი დაუმთავრებელი საკეთებელი შენმა ბექამ უნდა გააგრძელოს, შენმა ეთიკომ სამაგალითო ქალობა უნდა ანახოს ყველას, შენმა ვერიკომ სამაგალითო დედობა გასწიოს, შენმა დედამ შენი და თავისი მაგივრობა ერთად გასწიოს, რომ შენმა გურომ გაიხაროს შენი დანატოვარის წინსვლით.

მზე ისევ ამოვა, ხვალაც, ზეგაც გესტუმრება... უფალმა ნეტარცხონებული გამყოფოს იმქვეყნად, ჩვენო კობა. იმ ქვეყნიდან შენ დალოცე შენები, ამ ქვეყნიდან კი მაღალი ღმერთის მეგზურობით არაფერს მოგაკლებენ.

**ახლობლები**

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

## ამერიკის მოქალაქეები ერთმანეთის დაბეზღებას ახლა უკვე მობილურის პროგრამით შეძლებენ

ერთი შეხედვით, ჩანაფიქრი კეთილშობილურია და ტერორიზმთან ბრძოლას ისახავს მიზნად, თუმცა როცა ყველაფერს აგიხსნით, მიხვდებით, რომ მას ბევრი ადამიანი ძალიან ბოროტი და მამაძაღლური განზრახვებისთვისაც გამოიყენებს.

როგორც ირკვევა, ამერიკაში მობილური ტელეფონის ახალი პროგრამული უზრუნველყოფა გაეშვა, რომლის დახმარებითაც, მომხმარებელი უმოკლეს დროში დააბეზღებს ადამიანს, რომელიც მას საეჭვოდ მოეჩვენება.

პროგრამა სრულიად უფასოა და მისი გადაწერა ახალი თაობის ტელეფონების მფლობელ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია.

პროგრამის დახმარებით, შესაძლებელია ეჭვმიტანილისთვის ფოტოს ან ვიდეოს გადაღება, შემდეგ ადგილის კოორდინატების ჯიპიესით შეყვანა და შეტყობინება პოლიციისთვის მზადაა.

პროგრამა დასავლეთ ვირჯინიის შტატის ხელისუფლების დაფინანსებით შეიქმნა. შტატის გუბერნატორი რეი ტომბლინი ამტკიცებს, რომ ახალი პროგრამული უზრუნველყოფა პოლიციას საშუალებას მისცემს, უფრო ეფექტურად მოიპოვოს ინფორმაცია და დამნაშავეები და ტერორისტები ცხელ კვალზე აიყვანოს. სამწუხაროდ, პოლიტიკოსი იმაზე აღარაფერს ამბობს, რომ შესაძლოა, პროგრამა თაღლითმა და ინტრიგანმა ადამიანებმაც გამოიყენონ. მით უმეტეს, რომ ინფორმაციის გამგზავნის იდენტიფიკაციას მიმღები ვერ ახდენს.

მოკლედ, თანამედროვე მსოფლიო ადამიანს ყველანაირ საშუალებას აძლევს, რომ კაცობას თავი დაანებოს და ბოზობა დაიწყოს!..

***it.tut.by***

## ექიმები მღრღნელების მოყვარულებს მათ კოცნას კატეგორიულად უკრძალავენ



ძალიან უცნაური კი არის, მაგრამ ბევრ ადამიანს აქვს ჩვევა, ძაღლს ან კატას აკოცოს. კარგით, ამ ცხოველებთან მოფერება კიდევ გვესმის, მაგრამ მღრღნელებს რატომ უნდა აკოცო, გვეტყვის ვინმე?!

სანამ პასუხს მივიღებდეთ, ჯობია, მედიკოსების გაფრთხილება გაგაცნოთ, რომლებიც ამბობენ, რომ მღრღნელების კოცნას შესაძლოა, საშინელი შედეგები მოჰყვეს.

სპეციალისტები ერთ კონკრეტულ მაგალითს იშველიებენ, რომლის მთავარი გმირიც 26 წლის გოგონაა. თურმე, მან ორი კვირა ადელაიდას სამეფო ჰოსპიტალის რეანიმაციაში იმის გამო გაატარა, რომ დაავადდა ინფექციით, რომელსაც ვირთხის კბენის ციებ-ცხელება ეწოდება. მედიკოსები ირწმუნებიან, რომ უკიდურესად აუცილებელია მღრღნელებთან ნებისმიერი შეხების შემდეგ ხელების საგულდაგულოდ დაბანა.

რაც შეეხება 26 წლის გოგონას, მას საკუთარ ხელში გაზრდილი ზაზუნასთვის კოცნა მენინგიტად და მწვავე პნევმონიად დაუჯდა.

***brisknews.ru***

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**9 ოქტომბერი:** რომც არ გინდოდეთ, ყურადღების ცენტრში და ყველა საქმის კურსში იქნებით. თუ ლიდერობა გსურთ, დღეს ამის მიღწევა ადვილი იქნება.

**კურო 22.04-21.05**

**9 ოქტომბერი:** დღეს სხვადასხვა შემთხვევითობები დიდ როლს ითამაშებს. ამის გამო, რაიმეს დაგეგმვაზე დროისა და ნერვების ხარჯვას აზრი არ აქვს.

**ტყუპები 22.05-21.06**

**9 ოქტომბერი:** შეიძლება ერთი შეხედვით არ ჩანდეს, მაგრამ კარგი დღე იქნება. სწორედ ეს უნდა აუხსნათ გარშემომყოფებს, რომ ცუდის მოლოდინში არ იყვნენ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**9 ოქტომბერი:** შესაძლოა, საკუთარ თავში დარწმუნებული არ იყოთ, მაგრამ მიმდინარე მოვლენებით აღფრთოვანებული იქნებით. თამამად შეუდექით საქმეს, არ ინანებთ.

**ლომი 23.07-22.08**

**9 ოქტომბერი:** თუ დღეს თქვენთვის მიუღებელი სიტუაციების გამოსწორებას სხვათა დახმარების გარეშე დაიწყებთ, პრობლემებს შეიქმნით.

**ქალწული 23.08-22.09**

**9 ოქტომბერი:** შექება ყველა ადამიანს სიამოვნებს და სტიმულს აძლევს. ეს არ დაგავიწყდეთ და ნუ დაიზარებთ იმ ადამიანებისთვის თბილ სიტყვებს, ვინც თქვენს სასიკეთოდ ზრუნავს.

**სასწორი 23.09-22.10**

**9 ოქტომბერი:** შეიძლება გარკვეული ცვლილებების სულისჩამდგმელად იქცეთ. თქვენი იდეის გახმოვანებას ნუ იჩქარებთ, შეიძლება სხვამ განახორციელოს თქვენს გარეშე.

**მორიელი 23.10-21.11**

**9 ოქტომბერი:** დღეს სასურველ შედეგს იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუკი მოულოდნელობის ეფექტის ტაქტიკას გამოიყენებთ. სხვა შემთხვევაში ტყუილად გაირჯებით.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**9 ოქტომბერი:** დღეს სამყარო სწორედ ისეთი იქნება, როგორის ნახვასაც ისურვებდით. გამოიყენეთ ეს მომენტი, რადგან ყველაფერი მალე შეიცვლება.

**თხის რქა 22.12-19.01**

**9 ოქტომბერი:** როგორც ჩანს, ეს დღე ყოველმხრივ კარგი იქნება. სამწუხარო ის არის, რომ ყველა ჩანაფიქრის მოსწრებას ვერ მოასწრებთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**9 ოქტომბერი:** მოვალეობებს ძალიან სერიოზულად უდგებით. ზოგიერთ მოვლენებზე პასუხისმგებლობა თქვენც გეკისრებათ, მაგრამ ყველაფრის გულთან მიტანა არ ღირს.

**თევზები 19.02-20.03**

9 ოქტომბერი: დღეს სიფრთხილე გმართებთ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი უცნაურ მოვლენას წააწყდებით. გაუაზრებელი ქმედებებისგან თავი შეიკავეთ.

## რეკორდის დამყარება... პატიმრობად დაუჯდა



რომ არა აფერისტობა და მამაძაღლობა, ბრიტანელი პატრიკ რაიანი ციხის ნაცვლად, ნამდვილად გინესის რეკორდების წიგნში მოხვდებოდა, რადგან მის მიერ დამყარებული რეკორდი არავითარ ეჭვს არ იწვევს.

როგორც ირკვევა, რამდენიმე წლის მანძილზე პატრიკ რაიანმა ქვეყნის სხვადასხვა რესტორანში 422-ჯერ მოილხინა და „კაპიკი“ არავისთვის გადაუხდია.

გამოძიების ინფორმაციით, სწორედ 422-ჯერ შეიყვანა დაკავებულმა რესტორნები შეცდომაში. კერძოდ, როცა დესერტის დრო დგებოდა, ის ოფიციანტებს აჯერებდა, რომ შენობის გარეთ სიგარეტს მოწევდა და ხუთ წუთში უკან დაბრუნდებოდა.

სამწუხაროდ, კლიენტის სიტყვებში დიდი ხნის მანძილზე ეჭვი არავის შეჰქონდა. რაც მთავარია, პატრიკ რაიანი რესტორნებს ყოველთვის ყველაზე ძვირადღირებული კერძებისა და სასმელების შეკვეთას აძლევდა.

საბოლოო ჯამში, თაღლითი მაინც აღმოჩნდა პოლიციის ხელში, თუმცა ციხეში არცთუ დიდხანს მოუწევს ყურყუტი: სასამართლომ მას მხოლოდ 12-კვირიანი პატიმრობა მიუსაჯა.

***sobesednik.ru***

## ნაგავსაყრელზე გადაგდებულ სეიფში 170 ათასი ევრო ინახებოდა



ზოგჯერ ბედი ისეთ საჩუქარს გარგუნებს, რომ მისი წყალობით საკუთარი სიცოცხლის რადიკალურად შეცვლა შეიძლება, მაგრამ ასეთ საჩუქართან ერთად, სამწუხაროდ, ყველაფრის წინასწარ განჭვრეტის უნარს არავინ გვაძლევს.

ჰოდა, დაახლოებით ასეთი „უბედურება“ დაატყდა თავს ქალაქ ჰენიგდორფის ნაგავსაყრელზე მომუშავე გერმანელს, რომელმაც ნაგავში ახალთახალი სეიფი იპოვა, იფიქრა, რომ ის მოპარული უნდა ყოფილიყო და მაშინვე პოლიციას აცნობა.

სამართალდამცველებმა ყველაფერი ძალიან მალე გაარკვიეს – სეიფი, რომელშიც 170 ათასი ევრო ინახებოდა, გერმანული „პოსტბანკის“ ბერლინის ფილიალს ეკუთვნოდა.

თურმე, ბანკმა ოფისი შეიცვალა და მისმა თანამშრომელმა, რომელსაც გამოუსადეგარი ნივთების დახარისხება და გადაყრა ევალებოდა, ნაგავში შემთხვევით ფულით სავსე სეიფიც მოისროლა.

სამწუხაროდ, სეიფის პოვნისთვის „პოსტბანკმა“ მამაკაცს ერთი ევროც კი არ მისცა.

***etotupo.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



მომხიბვლელი გოგონა პოლიციაში მივიდა:

– ძალიან მიყვარს სექსი... წარმოუდგენელ სიამოვნებას მგვრის... იმ შინაგან აღფრთოვანებას, რომელიც ჩემს შიგნით თუხთუხებს, სიგიჟემდე მივყავარ... ველური სიამოვნების ნეტარება ბომბივით მაფეთქებს... ერთ ღამეში 50 ორგაზმის განცდა შემიძლია.

– მერე, ექიმთან მიბრძანდით, პოლიცია რა შუაშია?

– საქმე ისაა, რომ მეზობლები მოკვლას მიპირებენ...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

ალია »211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – **ტატა ბრეგვაძე**
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
**ილია ჭაჭვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
**ლევან ბანეთიშვილი**

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.10